


თბილი ბორბალის უნივერსიტეტი



დ. მანჯავიძე

გაგებასიური ძელქანა

634.94
საქართველოს სსრ მინისტრისათვა აკადემია
ბათუმის ბოტანიკური ბაზი

საქართველოს სსრ მინისტრისათვა აკადემია

ბათუმის ბოტანიკური ბაზი

დ. მანჯავიძე

გაგება სიური ძელქება

104.070
3

6303-2400
მინისტრის ბაზი



საქართველოს სსრ მინისტრისათვა აკადემიას გამოცემობა

თბილისი—1962

შრომაში მოცემულია კავკასიური ძელქვის სისტე-
მატიკური, ბიო-ეკოლოგიური, ჟიტოცენოლოგიური
და სატყეო-სამეურნეო დახმასიათება ზრდა-განვითა-
რების სხვადასხვა პირობებში. განხილულია აგრეთვე
ტყის კულტურების ტიპები და მოცემულია ზოგიერ-
თო აგროტექნიკური მითითებანი ძელქვის სელვენტ-
რი გაშენებისათვის ეკოლოგიურ პირობებთან დაკავ-
შირებით.

შ მ ს ა ვ ა ლ ი

ძელქვა — *Zelkova* Spach თელისებრთა ოჯახში შედის. ამ
 სახელწოდებით იგი პირველად აღწერა მეცნიერმა შპახმა 1841
 წელს და მას ლათინურადაც ქართული სახელი—*Zelkova* (ძელქვა,
 ქვასავით მაგარი ძელი) დაუტოვა. სხვა ენგბზე ძელქვას უწოდებენ:
 აზერბაიჯანულად—აზატ, სომხურად — ნილ, იაპონურად—კეაკი,
 ჩინურად ჩუ-მუ და სხვა. ყველა ეს სახელწოდებანი ძელქვის
 ნერქნის მაღალი ღირსების (სიმაგრის) გამომხატველია. ძელქვის
 გვარში შემავალი სახეობები მესამეული პერიოდის ფლორის რელი-
 ქტებია, ისინი ფართოდ იყვნენ გავრცელებული ევროპაში, აზიაში
 და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამასთანავე, გვარი მაშინ გაცილებით უფ-
 რო მდიდრად იყო წარმოდგენილი სახეობებით ვიღრე იგი დღეს
 არის. პროფ. ანდრეანსკის [36], სარმატის ფლორიდან მარტო უნგრე-
 თისათვის მოჰყავს ძელქვის 6 სახეობა: *Z. Ungerii Kov.*, *Z. praelo-
 nga'*(Ung) Berger, *Z. Palaeojaponica* Andreansky, *Z. latissima* Andr.,
Z. rotundilobata Andr., *Z. junglandina* Andr., ამ სახეობათაგან
 მეტად გავრცელებული იყო *Z. Ungerii Kov.* ოლიგოცენიდან პლი-
 ცენამდე. ილანიშნავია, რომ ეს სახეობა იღმოჩენილია განათხ-
 რებში ამიერკავკასიაშიც, კერძოდ აფხაზეთში [23], კახეთში [22],
 თბილისის მიდამოებში [30, 32], სომხეთში [24] და სხვა. *Z. Ungerii*-ს მონათესავე სახეობათაგან დღეისათვის გვხვდება კავკასიური—
Z. carpinifolia (Pall.) Koch და იაპონური—*Z. serrata* (Thunb.)
 Makino ძელქვები, რომელთაგანაც პირველი გავრცელებულია ამი-
 ერქავებასიასა და ჩრდილოეთ ირანში, ხოლო მეორე—იაპონიაში,
 კორეასა და ჩინეთში [23, 36]. გარდა ამ ორი სახეობისა დღეი-
 სათვის ცნობილია: *Z. abelicea* (Lam.) Boissier კუნძულ კრიტისზე,
Z. Schneideriana Handel-Mazzetti და *Z. Sinica* Schneider—
 ჩინეთში, *Z. formosana* Hayata—კუნძულ ტაივანზე.

წინამდებარე შრომაში მიზნად არ ვისახავთ გავაკეთოთ ძელ-
ქვის გვრის სახეობათა კრიტიკული მიმოხილვა, რომელიც მეტამოდ
არსებული მასალების საფუძველზე შედარებით კარგად შეასრულა.
L. ჩერეპანოვმა [33]; ჩვენ აქ შევეცდებით განვიხილოთ, ცოტად
თუ ბევრად სრულყოფილად, სისტემატიკური და ბიო-ეკოლოგიური
თვალსაზრისით, ძელქვის მხოლოდ ერთი სახეობა, სახელდობრ
კავკასიური ძელქვა, რომლის შესწავლაშიაც უკანასკნელ ხანს მნი-
შენელოვანი წვლილი შეიტანეს: აკად. ნ. კეცხოველმა [5], პროფე-
სორ ი. აბაშიძემ [1], მ. ექვთიმიშვილმა [3, 4] და ვ. ასანოვამ [10, 11],
გვიამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე კავკასიური ძელქვა
ტყის სხვა ჯიშებთან შედარებით სუსტად არის შესწავლილი. განსა-
კუთრებით სუსტადაა შესწავლილი ძელქვის ბიო-ეკოლოგიური
თვისებები, რაც უთუოდ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის იმისა,
რომ ამ უძირტვასესმა ჯიშმა დღემდე ვერ მიიღო ფართო გაურცე-
ლება კულტურებში. საკითხის შესწავლის მიზნით კვლევითი სამუ-
შაოები ჩავატარეთ 1954—1960 წ. ძელქვის ბუნებრივი გაურცე-
ლების უკელა რაონში—დასავლეთ საქართველოში, კახეთში,
მთიან ყარაბახში და თალიშში. გარდა ამისა დაკვირვებები ახალ-
გზებდა ნერგების ზრდა-განვითარებაზე ტარდებოდა ბათუმისა და
აბილისის ბოტანიკურ ბალებში.

კავკასიური აც ჩვეილაფოთოლა ძმლავის
ნისტოგატიკური დახასიათება

Zelkova carpinifolia (Pall.). K. Koch in Linnaea, XXII, (1849) 598.—O. Kuntze in Acta Hort. Petrop. X, I (1887) 236.—Dippel, Handb. Laubholzk. II (1892) 38. — Koehne, Dendr. (1893) 136.—Гроссгейм, флора Кавказа, II (1930) 28.—Ярмоленко, флора СССР, V (1936) 376.—Rehder, Man. cult. trees a. shrubs, ed. 2 (1940) 183.—Гроссгейм, Изв. Аз. ФАН, V (1940) 38; Флора Кавказа, том III (1945) 66. — ა. შხიანი, საქართველოს ფლორა, III (1947) 63. — ვ. მირზაშვილი, დენდროლოგია (1948) 354.— მ. ექთიმიშვილი, თბილისის ბოტანიკური ბაღის მომბე, 58 (1949) 158.—Прилипко, Фл. Азерб., III (1952) 131.—С. Чепанов, Ботанич. матер. гербария, т. XVIII (1957) 60.

Zelkova crenata Spach in Ann. sci. natur. sér. 2, XV (1841) 356.—Медведев, Деревья и кустарники Кавказа (1919) 267.

Rhamnus carpinifolia Pall. Fl. Ross. II (1788) 24.—*Ulmus nemoralis* Aiton, Hort. Kew. I (1789) 320.—*Ulmus polygama* Jussieu

ex Poiret in Lam. Encycl. méth. bot. IV (1798) 611. Planera Richardi Michaux, Fl. Bor.-am. II (1803) 248.

Zelkova ulmoides Schneider, Illus. Handb. Laubholzк.
I (1906)806.—*Zelkova hyrcana* Grossh. et Jarm., Изв. Аз. ФАН
V (1940) 38, Гроссгейм, флоора Кавказа, изд. 2, т. III (1945) 67.—
Прилипко, фл. Азерб. III(1952).

ამიერკავკასიაში და მის მეზობელ ჩრდილოეთ ირანში იზრდება ძელქვის ერთი სახეობა—*Zelkova carpinifolia* (Pall.) K. Koch. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთან, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ძალიან ახლოს დგას *Z. abelicea* (Lam.) Boissier, რომელიც ბუნებრივად კუნძულ კრიტისზე არის გავრცელებული (მთის ფერდობებზე) ზღვის დონიდან 1050—1400 მ [33] და ხშირად ბუჩქისებრი ზრდით ხასიათდება. შესაძლებელია, რომ ძევლად ამ ორი სახეობის გავრცელების არეალი ერთიმეორის მეზობლად მდებარეობდა.

კავერისიური ძელქვა მაღალტანოვანი ხეა; ტუში კარგად იწმინდება ტოტებისაგან, სიმაღლით 20—30 (35—40) მ, ხოლო დიამეტრით 0,8—1,2 (2,0) მ-დე იღწევს. ცალქემდგომი ხეები გამლილ ვარჯს ინერთარებენ და დიამეტრში ზოგჯერ 3 მ იზრდება. ქერქი სქელი და გლუვი აქვს, მომწვანო-რუხი ფერის—ახალგაზრდა ხეებს; უფრო მუქი—ხნიერებს, იქრცლება უანგისფრად. ერთწლიანი ყლორტები მოწითალო-რუხი ფერის, ბუსუსიანია. ფოთლები ახალგაზრდობაში ზემოდან ბუსუსიანი, შემდეგში კი უმთავრესად შიშველია, მუქი-მწვანე ფერის, ქვემოდან ლეგა მწვანე. ბუსუსები უმთავრესად ძარღვებს გასდევს, ყუნწისაკენ ფოთოლი ხშირად ახატანაბარევერდიანია, სიგრძით 2,5 (1)—8(10,5) სმ, სიგანით 1,5 (0,8)—3,5(5,5) სმ, ცლიფსური, კერცხისებრი ან წაგრძელებულ-ელიფსური ფორმის, მახვილწევერობიანი; ფოთლის კბილები საკმაოდ დიდი, ოდნავ წაგრძელებული ან მომრგვალებულია და მიმართულია წვერისაკენ; ძარღვები ქვედა მხრიდან, განსაკუთრებით მთავარი ძარღვი, გამობურცულია, მეორადი ძარღვები ფოთოლთა კბილების წვერომდე აღწევს ერთ მთლიან ზოლად, მეორადი დაკბილვა ას ახასიათებს, რითაც ძელქვის ფოთოლი აღვილად გაირჩევა თელისა და რცხილის ფოთლებისაგან; მეორადი ძარღვები ფოთლის თვითონეულ მხარეს 5(4)-დან 12-მდე (იშვიათად 15—16-მდე). თანაფოთოლი წაგრძელებულია, ბუსუსებიანი, სცვივა გაზაფხულზევე. ფოთლის ყუნწი შებუსუსებულია, სიგრძით 2(1)—3(4) მმ. კვირტები მჭომარეო,



0 1 2 3 4 см.

Лист. 1. *Z. carpinifolia* (Pall.) K. Koch. ფოთოლთა ფორმა და სიდიდე (ასეთ ცვებებადას ზოგჯერ აღვილი აქვს ერთი ხის ფოთოლთა შორისაც). Форма и величина листьев (изменчивость листвьев)

ძორიგეობით განწყობილი, მცირე ზომის, კეერცხისებრი ან წაგრძელებულ-კეერცხისებრი, გარეთ გადალუნული, შეღვება ყავისფერი, შეიძროდ მიწყობილი მრავალი მფარავი ქერქლისაგან.

© საქართველო
© მეცნიერებების აკადემია



სურ. 2. *Z. carpinifolia* (Pall.) K. Koch.

(ნომერი მაიკოვეს რაიონიდან, 14 აპრილი, 1960 წ.)

- 1) ტოტი ყვავილებით, 2) ტოტი ნაყოფით, 3) ყვავილი ბუტკოთი,
- 4) ყვავილი მტერიანებით, 5) ნაყოფი გარედან, 6) ნაყოფი ჭრილში

Образец из Маяковского района, Западная Грузия, 14 апреля 1960 г.

- 1) Цветущая ветвь, 2) плодущая ветвь, 3) пестичный цветок
- 4) тычиночный цветок, 5) плод с наружной стороны,
- 6) продольный разрез плода

ყვავილები ერთსა და იმავე მცენარეზე ვითარდება ორსქესიანი და მამრობითი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ცალკეულ გვ-ზემცლარებზე ჭარბობს ორსქესიანი ან მამრობითი ყვავილები. ორსქესიანი ყვავილები სხედან ერთეულებად ზედა ფოთლების იღ-ლიებში; მამრობითი ყვავილები 1—2 მმ ყუნწით, განლაგებულია კონგრად წლიური ყლორტების ქვედა ნაწილში, მტკრიანები 4—6; ყვავილსაფარი 4—6 ნაკვთიანია, განიერ-ზარისებრი. ნასკვი მჯდომა-რეა, ირიბკვერცხისებრი, გლუვი, 2 მოკლე სვეტით. ნაყოფი მომ-წვანო კავალია, ერთოესლიანი, მშრალი, მაგარი კანით, შიშველი ან ნერიედ ბერვიანი, უსწორ-მასწორო ზედაპირით, 4—5 მმ სიმაღლი-სა და სისქის, ხშირად წვეროსთან და ფუძესთან ორნაკვთიანია.

ძელქვა ყვავილობს ადგილმდებარეობის პირობების მიხედვით, გარტ-აპრილ-მაისში (ქუთაისის რაიონის დაბლობებში, მაგალითად, ჟყვავის მარტში თუ გაზაფხული თბილია, ან აპრილის დასაწყისში—თუ გაზაფხული ცივია). ყვავილობა გრძელდება ჩვეულებრივ 2 კვი-რა, ხოლო ზოგჯერ 3 კვირამდე. ყვავილობა და ფოთოლშლა ეწყება ერთსა და იმავე დროს. წელიწადში იძლევა ერთს, ორს ან სამ ნა-ზარდს. ასეც ხდება, რომ ერთი და იმავე ხის ზოგიერთი ტოტი იძ-ლევა ერთ ნაზარდს, ზოგი კი—ორს.

ფოთოლცვენა ეწყება სხეადასხვა დროს იმისდამიხედვით თუ როგორ პირობებში უხდება ზრდა-განვითარება და ხშირად თბილი წემოდგომის დროს ფოთლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხეზე დეკემბ-რის დასაწყისამდე რჩება. ძელქვის ზოგიერთი ეგზემპლარისათვის დამახასიათებელია გამხმარი ფოთლების შერჩევა ხეზე მომავალი წლის გაზაფხულამდე. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ზოგიერთმა ახალ-გაზარდა ძელქვამ ნედლი ფოთოლი შეინარჩუნა იანვარ-თებერვ-ლამდე..

როგორც ცნობილია, გროსპერმია და იარშოლენკომ [16] კავკა-სიური ძელქვიდან (*Z. carpinifolia*) გამოჰყეს ცალკე სახეობად *Z. hyrcana* Grossh. et Jarm., შემდეგში, ზოგიერთმა მკელევარმა [5, 33] პირეანური ძელქვის დამოუკიდებელ სახეობად არსებობა საექვოდ მიიჩნია, რადგან მისი განსხვავება რცხილაფოთოლა ძელ-ქვისაგან უმნიშვნელო იყო. იმისათვის, რომ დაგვეზუსტებინა ეს საკითხი შევაგროვეთ ძელქვის პერბარიუმი ამიერკავკასიის სხვადა-სხვა პუნქტებში, სახელობრ, დასავლეთ საქართველოში: ქუთაისის გარეუბანი — 16.VII. 1957; სოფ. რიონი—16.VII. 1957; სამტრე-დია-ქუთაისის გზატკეცილი—16.VII. 1957; სოფ. იანეთი—20.IX. 1957; სოფ. საჭავახო (სამტრედია-ჩოხატაურის გზატკეცილზე)—



15. VII. 1957; 4.X. 1957; ზესტაფონის გარეუბანი—4.X. 1957;
 სოფ. ილემი—17.VII. 1957; 8.VIII. 1960; სოფ. ფუთი—20.IX. 1957;
 1957; სოფ. ჩხარი—21.VII. 1959; სოფ. თერჯოლი—21.VII. 1959;
 სოფ. ვარცისე (ავამეთის ნაქრძალი)—16.VII. 1957, 15.IV. 1960;
 შაიაცოკვეთი (სატყეო მეურნეობასთან ახლოს)—14.IV. 1960; სოფ.
 კაიში (ზუგდიდის რაიონი) —5.XI. 1959; სოფ. მარტვილი—18.IV.
 1960; სოფ. ლაშე (ხარაგაულის რაიონი) —9.XI. 1958; სოფ. შუამ-
 თა (ცანის რაიონი) —9.IV. 1958, 14.IX. 1960; სოფ. ამაღლება—
 9.IV. 1958; სოფ. მენჯი (ცხავაიის რაიონი) —16.VII. 1958; სოფ.
 რაღლაკი (წყალტუბოს რაიონი) —16.IV. 1960; სოფ. ოფშევითი—
 24.IX. 1960.

აღმოსავლეთ საქართველოში: ახმეტის რაიონის სოფ. ბაბანეუ-
 რი—17.IX. 1957; თბილისის ბოტანიკური ბაღი—14.XI. 1956;
 სოფ. დამბალო (მუხრანის მეურნეობის ტერიტორიაზე) — 4.VII.
 1958.

მთიან ყარაბახში: ქალ. გადრუტი—8.IX. 1957; სოფ. ქოჩბეკ
 (გადრუტის რაიონი) —8.IX. 1957; ქალ. სტეფანავერტი—7.IX.
 1957; სტეფანავერტის რაიონი—სოფ. კრასნი ბაზარ—7.IX. 1957;
 სოფ. კრასნოე სელო—7.IX. 1957.

თალიშში. ქალ. ლენქორანი—12.IX. 1957; ლენქორან-ასტა-
 რის გზატევცილი—11.IX. 1957; მდინარე ლენქორან-ჩაის ხეობა—
 სოფ. აზერბაიჯან—13.IX. 1957; სოფ. ეიზაზამინ — 13.IX. 1957;
 სოფ. ჩეო—13.IX. 1957; სოფ. ალექსევევა—12.IX. 1957; სოფ. სა-
 პნავერან—12.IX. 1957; ლერიის რაიონი სოფ. კომრიდ—13.IX.
 1957; სოფ. ველოჩოლა—13.IX. 1957; დასახლება მე-40 კმ—13.IX.
 1957; ასტარის რაიონი სოფ. ლოვაინ—11.IX. 1957; სოფ. კრომ-
 ხეიჯარ—11.IX. 1957; სოფ. პენსარ—11.IX. 1957; სოფ. კაჭიმარტა
 —11.IX. 1957; სოფ. აჩჩევან—11.IX. 1957; სოფ. ტანგარუდ—
 11.IX. 1957; სოფ. მაშხან—11.IX. 1957; ასტრახან-ბაზარის რაიო-
 ნი—სოფ. კომანლი—14.IX. 1957; სოფ. ალვადი—14.IX. 1957.

გარდა აღნიშნული პუნქტებისა, პერბარიუმი შეგროვედა აგრე-
 თე 1960 წ. ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში, სულ შეგროვილი იყო
 430-მდე ნიმუში (საპერბარიო ფურცელი), რომელიც ინახება საქა-
 რთველოს მეცნ. აკადემიის ბიოუმის ბოტანიკური ბაღის პერბარი-
 უშში. ამ მასალების შესწავლამ დაგვარუშმუნა, რომ ე. წ. პირეანული
 ტელევის ცალკე სახეობად გამოყოფა არ არის სწორი. განმასხვავე-
 ბელი ნიშნები „ახალი სახეობის“ ივტორების მიხედვით მოცემულია
 ცხრილ 1-ში.

მირფოლოგიური ნიშნები	<i>Zelkova carpinifolia</i>	<i>Z. hyreana</i>
ფოთლის სიგრძე სმ . . .	(1,5)2—3,5(4,5)	(3,5)4—6(7,5)
ძალუების რაოდენობა	(4)6—7(9)	(6)7—9(12)
ფოთლის ყუნწის სიგრძე მმ . . .	0,5 (1)	(1)2(3)
ნაყოფის სიდიდე მმ . . .	4,5	5
ფოთლის ფორმა . . .	კვერცხისებრ-ოვალური, წყერილასკენ რამდენადმე შეეიწრობული	კვერცხისებრ-უაგრძე- ლებული, წყერილასკენ აშკარად შევიწროე- ბული
ფოთლის ქბილები . . .	ბლაგები, მოკლეზე ტიანი	უფრო მაღალი, წყერი- ლი წყეროთი

როგორც ვხედავთ განსხვავება მცირე და თანაც რაოდენობ-
რივი ხასიათისაა. ამასთანავე ეს ნიშნები არ არის მყარი და განიც-
დის ცვალებადობას არამარტო ხეების ცალკეულ ეგზემპლარებზე
არამედ ცალკეულ ტოტებზედაც. ამის დამადასტურებელია მეორე
ცხრილი, რომელიც აგებულია ჩეენ მიერ შეგროვილ საპერბარიო
მასალების დამუშავების საფუძველზე.

პირველი და მეორე ცხრილების ურთიერთ შედარებით და მე-2
ცხრილის მასალების განალიზებით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი
დასკვნა.

1. ფოთოლთა სიდიდე, ყუნწის სიგრძე და ძარღვების რაოდე-
ნობა მკვეთრად იცვლება (მერყეობს) ძელქვის სხვადასხვა ხეებზე
და ამავე დროს ერთისა და იმავე ხის ერთი ტიპის ტოტებზედაც კი;

2. გროსპერის მიხედვით პირკანული ძელქვა განსხვავდება რცხილაფოთოლა ძელქვისაგან გრძელი ფოთლით, გრძელი ყუნწით
და ძარღვების მეტი რაოდენობით; ჩვენი დაკვირვებით, ასეთი კა-
ნონშიმიერებით შეიძლება ხასიათდებოდეს მხოლოდ ცალკეული
ჰატარა ტოტები და არა მთელი ხე;

3. საპერბარიო მასალების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია
მხოლოდ მცირე ხომის, მაგრამ სხვადასხვა ტიპის ტოტები შემჩნე-
ულია შემდეგი ვარიაციები:

ა) მოკლე ფოთლები (< 4 სმ) გრძელი ყუნწით (> 1 მმ), ბ) ვრძელი ფოთლები (> 4 სმ) მოკლე ყუნწით (< 1 მმ), გ) მოკლე
ფოთლები (< 4 სმ) მეორადი ძარღვების დიდი რაოდენობით (> 9),
დ) გრძელი ფოთლები (> 4 სმ) მეორადი ძარღვების მცირე რაო-
დენობით (< 7) და სხვა.

ძელქვეს ზოგიერთი სისტემატიკური ნიშანი სხვადასხვა რაიონში კარგი და ბევრი სამერძარიო მასალების მიხედვით

ნო. №	შერჩარიუმის აღების ადგილი	რიცხვი	ფოთლის სიგრძე სმ		ყუნწის სიგრძე მმ		ძარღვების რაოდენო- ბა მმ	
			მ	მმ	მ	მმ	მ	მმ
1	მაიაკოვესის რაიონი	I	7,3	3,9	2,0	4,0	13—12	6—7
		II	5,5	2,2	4,0	3,0	13—12	8—6
		III	3,2	2,3	1,0	0,5	9—6	5
2	ზეგდილის რაიონი, სოფ. ცაიში	I	6,6	2,8	4,0	2,0	10—11	5—6
		II	6,1	2,0	3,6	1,5	11	6—4
		III	3,3	2,3	2,0	2,0	8—9	5—6
3	აბშეტის რაიონი, სოფ. ბაბანეური	I	7,8	3,2	4,5	3,0	10	5—6
		II	5,5	3,5	4,0	3,0	9	6
		III	4,8	3,1	3,0	3,5	8	5
4	"	I	2,4	1,3	0,3	0,5	8—9	2—3
		II	2,3	1,4	4,0	1,0	7—9	4
		III	2,3	1,2	1,0	1,3	7—8	4
5	ზეგდილის რაიონი, სოფ. ცაიში	I	5,6	2,3	5,0	4,0	9—11	3—5
		II	4,7	2,2	4,0	4,0	10—11	4—5
		III	3,8	1,7	3,0	2,0	9—11	4—5
6	ზესტაფონის რაიონი, სოფ. ილემი	I	4,0	1,8	3,0	1,5	9—10	5—6
		II	3,4	2,2	2,0	1,5	8—9	7—8
		III	3,0	1,7	1,0	0,5	8—9	6—7
7	თერჯოლის რაიონი, სოფ. ჩხარი	I	4,9	2,2	2,0	1,5	7—8	6
		II	3,0	1,4	2,0	1,0	7—8	5
		III	3,3	1,6	3,0	1,5	8—9	5—6
8	სამტრედიის რაიონი, სოფ. იანეთი	I	6,8	2,6	2,0	3,0	9—11	5—7
		II	5,7	2,3	2,0	2,5	9—10	4—7
		III	3,5	1,6	4,0	1,5	7	4—5
9	"	I	3,1	1,6	2,0	2,0	10—11	6
		II	2,7	1,5	2,0	1,5	7	6
		III	2,9	1,3	3,0	1,5	7—9	5—6
10	ქუთაისის რაიონი, სოფ. რიონი	I	7,1	2,3	4,0	3,0	10—11	6—4
		II	5,5	2,5	3,0	3,0	9—10	5—6
		III	4,0	2,1	3,0	3,0	6—7	4—5

* I-ტოტის ცენტრალური (წვეროს) ყლორტი, II-შეუა გვერდითი ყლორტი (ბრაზიბლასტერი უსაფასო), III-ქვედა გვერდითი ყლორტი (ბრაზიბლასტერი ფოთლებით).

** ყუნწის სიგრძე და ძარღვების რაოდენობა აღებულია იმავე ფოთლებისათვის, რომელიც იზომებოდნენ.


*** ძარღვების რაოდენობა შეირჩდ ფოთლოლა ნახევრებზე არათანაბარია, მაგალითად, 6—7 ნიშანის, რომ ფოთლის ერთ ნახევარზე 6 ძარღვია, ხოლო მეორეზე—7. ასეთივე მნიშვნელობით არის ყველგან მე-8 და მე-9 სკეტში მოტანილი ღრ-ღრი რიცხვი.



ნომ. №№	შერბარიუმის აღების ადგილი	ტიპი	ფოთლის სიგრძე მმ		კუნწის სიგრძე მმ		ტარდებას რაოდენობა	
			ტემპ.	მინ.	ტემპ.	მინ.	ტემპ.	მინ.
11	მცხეთის რაიონი, მუხრანის საბჭ. მე- ურნეობა	I	5,0	1,9	3,0	2,0	10-12	6
		II	3,7	1,4	2,0	1,5	9-10	5
		III	2,8	1,4	2,0	2,0	7-8	4-6
12	ცხაკაიას რაიონი, სოფ. მეწვევი . . .	I	7,5	3,0	3,0	3,0	11-13	6-7
		II	6,6	1,8	2,0	1,5	10-12	6
		III	3,8	1,7	2,0	1,5	8-9	6-7
13	*	I	3,5	1,7	4,0	3,0	8-9	4-5
		II	3,5	2,2	2,0	1,0	8-9	6-7
		III	3,3	1,7	1,0	1,0	9	6-7
14	ასტარის რაიონი, სოფ. ლოვაენი . . .	I	9,6	2,4	4,0	0,5	12-14	6
		II	7,7	2,5	3,0	1,0	13-12	6-7
		III	6,0	2,0	2,0	0,3	12-14	5
15	სოფ. ქრონიშვილი	I	5,2	3,7	4,0	3,0	10-9	7
		II	5,1	2,6	3,0	2,0	11	7-5
		III	3,5	2,0	2,0	1,0	9	6
16	გადრუტის რაიონი, სოფ. ქოჩაევი . .	I	6,8	4,1	5,0	2,0	13-14	6-7
		II	4,9	3,6	3,0	2,5	12-14	7
		III	4,8	3,5	3,0	3,3	10	8-9
17	*	I	3,3	2,3	1,5	0,5	6-7	5-7
		II	2,8	1,9	1,0	1,0	5-6	4-6
		III	2,7	1,4	1,0	1,0	5	4-5
18	ლერიფის რაიონი, სოფ. კომიტატი . . .	I	8,0	3,9	4,0	5,0	10	5
		II	7,1	2,8	5,0	3,0	8-11	5
		III	6,8	3,0	4,0	3,0	8-11	4-6
19	დასახლებული უბანი „40 კვ“ . . .	I	7,8	2,9	3,0	2,0	11-12	5
		II	5,8	2,2	2,0	0,3	12-13	5-6
		III	5,0	1,9	3,0	1,5	11-13	5-7
20	ქ. ლენქორანი	I	8,4	2,5	2,0	1,0	14	4-5
		II	7,2	3,7	2,0	2,5	15-13	6-7
		III	6,1	2,3	1,5	1,0	12-13	6-7
21	*	I	4,3	2,2	1,0	2,0	9	6
		II	3,5	2,2	2,0	1,0	8-9	5-6
		III	3,2	1,8	1,0	1,0	10-11	8
22	ლენქორანის რაიონი, სოფ. ალექსეევკა . .	I	5,9	3,5	4,0	3,0	10-11	5-6
		II	5,6	2,0	3,0	1,5	9-10	5
		III	5,2	2,8	2,0	1,5	9-10	5-6
23	სოფ. საპნაკერანი	I	3,0	2,0	1,0	2,0	9-10	5-6
		II	2,9	2,2	1,0	1,0	6-8	7-8
		III	2,4	1,9	1,0	1,3	7	6-7
24	ქ. გადრუტი	I	10,0	6,5	3,0	1,0	13	7
		II	8,2	4,7	4,0	2,0	11	7-8
		III	7,8	2,7	4,0	3,0	13-14	6-7
25	*	I	3,6	1,8	1,0	1,0	9	6-8
		II	3,1	1,7	1,0	1,2	9-10	7
		III	3,1	1,8	1,0	0,5	9-10	9-8

ნომ. №	ქართველის კულტურული მემკვიდრეობის აღმნიშვნის აღმნიშვნი	ტერიტორია	ფინანსურის სიგრძე		ყველაზე სიგრძე		მარცვლის რაოდენობა	
			ტერიტორია	მასშ.	მინ.	მასშ.	მინ.	მასშ.
26	სტეფანა კურტის მიერამოები	I	9,5	4,3	2,0	4,0	10-11	6
		II	4,7	1,8	0,5	2,0	9	5
		III	4,6	2,0	0,4	1,0	11	6-7
27	.	I	3,5	2,0	1,0	2,0	8-9	5-6
		II	3,3	2,4	1,0	2,0	7	7-8
		III	3,2	1,7	0,3	1,0	7	5-6
28	სტეფანა კურტის რაიონი, სოფ. კრასნი ბაზარი	I	6,5	2,7	2,0	1,3	13	6-7
		II	4,8	2,3	2,5	2,0	11-12	5-6
		III	4,6	2,2	2,0	1,0	9-10	7
29	ასტრახან-ბაზრის რაიონი, სოფ. კა-შანლი	I	6,7	2,6	4,0	3,0	12-13	5-6
		II	5,6	2,9	3,0	2,0	10-11	5-7
		III	3,8	1,6	2,0	1,0	8-10	5-6
30	ასტრახან-ბაზარის რაიონი, სოფ. კა-შანლი	I	5,2	1,6	2,0	1,0	10	5
		II	4,9	1,5	1,0	2,0	11-12	4-5
		III	4,1	1,7	1,5	1,0	9	5-6

ზემომოტანილი მასალები იმაზე ლაპტავებს, რომ გრისპეი-
მისა და იარმოლენკოს მიერ მოყვანილი არგუმენტებით ჰიტეანული
ცელქების ღამოუკიდებელ ჩახეობად გაძოყოფა არა მართებული,
თაგრამ ისმება საკითხი სახეობის—*Z. carpinifolia*-ს ფარგლებში
არის თუ არა რამე სახესხვაობანი ან ფორმები? ამ საკითხზე ჩვენ
პევმოთაც შოგვისდება შეჩერება, მაგრამ აქაც აღვნიშნავთ, რომ
რცხილაფოთოლა ძელქვა ამიერკავკასიაში წარმოდგენილია რამდე-
ნიმე ფორმით. რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყ-
რობს ქსეროფიტული ფორმა (ეკოტიპი), რომელიც ბუნებრივად
გვხვდება სამხრეთ ექსპოზიციების ხრიოკ ადგილებში ისეთ ქსერო-
ფიტ ჯეშებთან ერთად, როგორიცაა ძეძვი, გაგრცხილა და სხვა (იბ.
სურ. 3). ეს ეკოლოგიური ფორმა შესაძლებელია შორეულ მომავალ-
ში გადაიხარიდოს სახეობაში, მაგრამ ქრეჭერობით კი შას არ აქვს ისე-
თი განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშნები, რომ იგი ცალკე —
დამოუკიდებელ სახეობად აღვწეროთ.



სურ. 3. (ფოტო ბ. კეცხოველისა). მელქეა ძეგლიანში, სოფ. ბაბანეული,
კახეთი. დაძლივა სреди зарослей *Paliurus spina-Christi* Mill., сел. Бабане-
ури, Восточная Грузия, 4. X. 1959

ძაღლის გავრცელება პრიზრამდასიაში

ცნობილია, რომ კავკასია შუა ნეოგენამდე ჭერ კიდევ კუნძულს
წარმოადგენდა [12] და ამიერკავკასიის დაბლობები დაფარული იყო
14



ჰელვით, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ზღვის უკან დახევა და მის გადასაცავა
ხერხშე ხმელეთის ზრდა. მესამეული პერიოდის პირველ ნახევარში
შოხდა კავკასიაში ტურგაის ფლორის შემოქრა და ძელქვის გაფრ-
ცებულა, ამიერკავკასიაში სწორედ ამ პერიოდთან არის დაკავში-
რებული, ამიტომ გრისეიმი მას არქორმესამეული (ტურგაის) ფლო-
რის პეზოთერმულ რელიქტად თვლის [15]. ძელქვა ფართოდ გაფრ-
ცებულა მთელ ამიერკავკასიაში, მას უწყვეტი ფართობი პერიოდ
დაკავშირებული კოლხეთის დაბლობიდან ჩრდილოეთ ირანამდე.
იმის ადასტურებს ძელქვის ნამარხი ნაშთები სხვადასხვა აღვილებში:
შირაქის ველზე [28], მდ. ალაზანსა და მტკვარს შორის შეინდ-ლელის
ქედზე [25], გურიაში მდინარე სუფსის შენაკადის შუთის წყლის
ხეობაში [14], სომხეთში მდინარე არექსის ხეობაში [24] და სხვ. იმა-
ვე დროს ალაზანშინავია, რომ იმ დროს ამიერკავკასიაში ძელქვის რა-
მდენიმე სახეობა არსებობდა, ამგანად არსებული რცხილაფოთოლა
ძელქვის გარდა ნამარხებიდან ცნობილი არის Z. Ungeri Kov. და
Z. arexina Pal. ამისთანავე რცხილაფოთოლა ძელქვა გავრცელე-
ბული იყო არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მის ფარგლებს
გარეთაც, კერძოდ ევროპაშიც [39]. შემდგენი, მესამეული ხანის
შემდეგ, ამიერკავკასიამ დიდი ბუნებრივი ცელილებები განიცადა,
რომ პარა უფრო მეტი (ციეკი და მშრალი) გახდა, რის გამოც
ძელქვის რამდენიმე სახეობა დიალუპა და დღემდე შემორჩია მხო-
ლოდ ერთი სახეობა—რცხილაფოთოლა ძელქვა, რომელიც შედა-
რებით უკეთ შეეგუა შეცელილ ეკოლოგიურ პირობებს, მაგრამ
რისი გავრცელების არეალიც მკერრად შემცირდა და ძირითადად
შემორჩია ისეთ ადგილებში, სადაც პარა უფრო თბილი და ტენიანი
ცუო. ძელქვის არეალის შემცირებას, გარდა ბუნებრივი პირობების
შეცელისა, ხელი შეუწყო აგრეთვე ადამიანმა, რომელიც ყოველ-
ჯარი შეზღუდვის გარეშე ანაღგურებდა ძელქვის ტყეებს და მის
განახლებაზე კი არ ფიქრობდა. დღეისათვის კავკასიური ძელქვა
გვხდება თალიშის, მთიანი ყარაბახის, საქართველოსა და ჩრდ.
რიანის ტყეებში (უმთავრესად შეჩეული კორომების სახით) ან
ტყის გარეთ ცალკეულ ეგზემპლარებად. 1946 წლის ძელქვა სა-
ქართველოში ცნობილი იყო მხოლოდ იმერეთ-სამეგრელოში და კავ-
კასიის მთელ რიგ მცვლევართა გაკვირვებას იწვევდა თუ რატომ
ირ გვხდებოდა იგი კახეთში, სადაც ძელქვის ზრდა-განვითარები-
სათვის კარგი პირობები არსებობს. მართლაც, 1946 წ. მეტყევე ი.
კოშმოვა ამჟამინდები არის სოფ. ბაბანეურის ტყეში აღმოაჩინა

რელქვა, რომელიც პირველად აღწერა ი. აბაშიძემ [1], შემდეგ მ. აქვთიმიშვილმა [3, 4], ხოლო უფრო გვიან კახეთის ძელქვნარები შეისწავლა აქად. ნ. კეცხოველმა [5].

ძელქვის რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება აგრეთვე ქართლში ბუხრანის მეურნეობის ტერიტორიაზე. ნ. კეცხოველი [5] მას თელის ბუნებრივი ტყის ნაშთად. ჩვენ ყურადღებით დავითვალიერეთ მუხ-რანის მიდამოები და ტყეში გერსად შევამჩნიერ ძელქვა. ამასთანავე რსებული ძელქვები მხოლოდ სარწყივი არხის პირას დგანან და მიტომ მათი ბუნებრივობა ეჭვს იწვევს, მაგრამ ეჭვის გარეშეა ის, რომ ძელად აქ ძელქვა ისრდებოდა და დღესაც შეუძლია მას ზრდა-კანვითარება არსებულ კლიმატურ პირობებში.

დასავლეთ საქართველოში ძელქვის გავრცელების საზღვრებია: ჯარაგაული (ალმასავლეთით), ქ. ჭიათურის და ჩხარის ჩრდილოეთი მიღამოები, კურსები (ჩრდილოეთით), გეგემქორი (საბენიო-მარტვილი), ცხავიას და ზუგდიდის რაიონები (დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით), სოფელი საჯავახო (სამხრეთ-დასავლეთით), განისა და მაიკონესის რაიონები (სამხრეთით)? ამ რაიონებში ძელქვა გავრცელებულია ზღვის დონიდან 15—500 მ, ხოლო კახეთში 430—500 მ, გაცილებით უფრო მაღლა აღის ძელქვა მთიან ყარაბახში და თალიშში აქ იგი გავრცელებულია ზღ. დონიდან 30—1300 მ.

როდესაც ჩვენ ძელქვის გავრცელების არეალზე ელაპარაკობთ საჭიროა განვისაზღვროთ თუ რით არის შეზღუდული მისი პორიზონ-ტალური და ვერტიკალური გავრცელება, რატომ არ გვხვდება იგი დასავლეთ საქართველოში მთის შუა საჩრტყელში, რატომ არა აქარა-გურიაში და სხვა. ძელქვის გავრცელების შემზღუდველი მიზე-ზები უპირველესად ყოვლისა მის ბიო-ეკოლოგიურ თვისებებში უნდა კეძიოთ (დამკიდებულება სიობოსთან, ტენთან, ნიადაგთან, გამრავ-ლების უნარითან და სხვა, რომელთაც მომდევნო თავში განვიხი-

¹ კახეთში სოფ. ბაბანერებში აღგილობრივი მოსახლეობა ძელქვის აღუბს ან აფიშეს უწინდებენ, რაც უფოლო, ხის აშოლტილი ტანის გამომხატველია.

² ჩრდილო-დასავლეთით ძელქვის გავრცელების უკადურეს პუნქტიად უნდა ჩათვალის ციში. ჩვენ ეს ადგილი დავათვალიერეთ 1959 წლის შემოდგომით. თვით აღგილობრივ მცხოვრებში გავრცელებულია აზრი, თოიქის კურონტ ცაიშის ტერიტორიაზე „უცხი ჭიშის“ ხევბი—ძელქვა მოტანილი იყო იტალიელების მიერ. ეს შეხედულება სწორი აზრი, რაღაც ეს ჭიში ნამდილი საქართველის ჭიშია და თანაც შემოტანილი კი არა—აღგილობრივია. ცაიშის ძელქვის ძუნებრივისაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ აქ გახვდება როგორც ხნივანი, სკეკვა ახალგაზრდა ეგზემპლარები ბუნებრივ ტყეში და განახლება-გავრცელება ხდება როგორც უკეთი ნაბარტყით, ისე თესლით (დ. 8.).

ლავთ). მაგრამ ერთ-ერთი მთავარი როლი მაინც ადამიანმა შეასრულა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში დასავლეთ საქართველოში, ტბილისის აუზის დაბლობებში და მასთან მდებარე მთისწინა კალთების ფერდობებზე ზღვის დონიდან 300—500 მეტრამდე (კოლხეთის დაჭაობებული ნიადაგების გამოკლებით) ფართოდ იყო გავრცელებული: ძელქვნარები, მუხნარები, ძელქვნარ-მუხნარები, ძელქვნარ-ჩუხილნარები და სხვა. ზოგიერთ ადგილებს, ძელქვის მასიური გავრცელების გამო ძელქვიანებსაც კი ეძახდნენ, მაგალითისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მდინარე ძირულის შენაკადის ბორომელას ხეობაში დღემდე არის შემორჩენილი ადგილის სახელწოდება „ძელქვა“, აქ ამ ასიოდე წლის წინათ ყოფილი ძელქვის ტყე სხვა ჯიშების (მუხის, რცხილის, ჯაგრცხილის, იფნის და სხვათა) შერევით, მაგრამ ადამიანს ისე გაუნადგურებია იგი, რომ დღეს იქ მხოლოდ დაჭავული ბუჩქები გვხვდება. ასევე მოხდა იმერეთის სხვა ბევრ ადგილებშიც და ამიტომ იქ სადაც წინათ ტყის მასივები იყო დღეს მხოლოდ მცირე ჯგუფებს, ცალკეულ ხეებს ან ბუჩქებს კვედებით, ზოგან კი მათი ნიშნებიც აღარაა, ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანის უარყოფითი ჩარევის შედეგად ძელქვა ადგილიდან იღებენდა სხვა ჯიშების მიერ, რომლებიც თანამედროვე ხანაში უფრო სიკოცხლის უნარიანები არიან. სრული შესაძლებელია, რომ ეს იყოს მიზეზი, მაგალითად, ძელქვის გაუვრცელებლობისა აფხაზეთსა და აჭარა-გურიაში.

აქადემიკოსი ვ. გულისაშვილი უკეთებს რა ანალიზს კლიმატურ ფაქტორებს ამიერკავკასიაში ჩელიქტების გავრცელებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ მთელ რიგ რაიონებში ჩელიქტების არარსებობის მიზეზი არის არა თერმული ფაქტორი მინიმალური ტემპერატურის სახით, არამედ ნალექების სიმცირე და ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობა [18]. ეს დებულება სრულიად საბართლიანია ამიერკავკასიის ბევრი ჩელიქტური ჯიშისათვის, მაგრამ არა მართებული ძელქვისათვის, რომლის გავრცელების სამხრეთი დასავლეთი თანამედროვე საზღვარი გურია-აჭარის მიმართულებით სწორედ იქ წყდება, სიღდანაც იწყდება ატმოსფერული ნალექებისა და ჟერის შეფარდებითი ტენიანობის მეტი რაოდენობა და ამასთან დაკავშირებით ტენიანი ჰავის მცენარეთა ძლიერი კონკურენცია.

3. იაროშენკო, რომელმაც შეისწივლა მცენარეული საფარის შეცვლის კანონზომიერება ამიერკავკასიაში [24], აღნიშნავს, რომ თალ-

შის პირობებში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ძელქვა გაურბოდეს ზომიერ ტენიან ნიადაგებს. სინამდებილეში კი იყო, უთუოდ, ითიშება სხეა—ნიადაგის უფრო მეტი მომთხოვნი ჯიშების მიერ.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პირობებში იდგილი აქვს ძელქვის ორეალისა და ორეალის ფარგლებში გაერცელების ფართობის შემცირებას, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახეთ, თუკი ადამიანი აქტიურად ჩაერევა ძელქვნარი ტყეების ალდგენა-რეკონსტრუქციაში, მაშინ არა თუ შევეძლია შევინარჩუნოთ ძელქვა ამჟამად არსებულ ფართობებსე, არამედ შესაძლებელი იქნება მისი გაერცელების ორეალის გადიდებაც.

მიღვწის ზოგიარეთი პიო-ეკოლოგიური თვისებები

ბერ. ვ. გულისაშვილი ძელქვას ნახევრად ჩრდილის ჯიშად თელის [2], ლოზინა-ლოზინსკაია—ჩრდილის ამტან ჯიშად [20], ხოლო პრიოფ. პრილიპკო მას სინათლის ჯიშს აკუთვნებს [31]. ჩეგნი დაქვირებით ძელქვა ტიპიური სინათლის ჯიში არაა, მაგრამ სინათლის ჯიშთან უფრო ანლოს დგას, ვიდრე ჩრდილის ჯიშთან. ეს იმითაც დასტურდება, რომ ძელქვის მოზარდი საიმედო მდგომარეობაში იმყოფება მხოლოდ ფანჯრებში და მეჩხერ ტყეებში, დიდი და საშუალო სიხშირის ტყის საბურეველის ქვეშ კი მას ნორმალური განებითარება არ შეუძლია. ასევე ძელქვა თითქმის ვერ ვნახეთ ტყის შეორე სართულში თუ პირველი სართულის სიხშირე 0,5-მდე იყო, ხოლო ცალკეული ეგზემპლარები, რომლებიც კი მოექცნენ მეორე სართულში დაჩაგრულ მდგომარეობაშია და შემდეგში დალუპვა მოელით.

სითბოს მიმართ ძელქვა მომთხოვნია, მაგრამ საკმაოდ კარგად უძლებს ყინვებს.

მე-3 ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ბუნებრივი გაერცელების პირობებში ძელქვა იტანს-22° ტემპერატურას და ხანგრძლივ ყინვიან პერიოდს (140 დღემდე). ეს მონაცემები ძელქვისათვის ზღვრული არ არის, მას უფრო დაბალი ტემპერატურის ატანა შეუძლია. მუხრანში (მცხეთის რაიონი) ძელქვას თითქმის დაუზიანებლად გადააქვს-29° ტემპერატურა, ხოლო კიევის პირობებში მცირედი დაზიანებით იტანს-30°. კიევის სახ. უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღში 1958 წლის ზამთარში 2-წლიანი ნათესარე-

პი არ დაშიანლენ-24° ტემპერატურის დროს, მიუხედავად იშიბა
რომ ისინი თოვლით არ იყენენ დაფარული. საყურადღებო ისიც,
რომ ძელქვის აღმონაცენი საკმაოდ კარგიდ უძლებს როგორც აღ-
რეულ და გვიან ყინვებს, ასევე ზაფხულის მცხუნვარე მზის პირდა-
პირ მოქმედებასაც.



ცხრილი 3
ტემპერატურის ზოგიერთი მონაცემები ძელქვის ბუნებრივი გაერცოლების
რაიონებში

დასახლება	მასაზე მდგრად მუნიციპალიტეტი	მდგრად მუნიციპალიტეტი	მდგრად მუნიციპალიტეტი	მდგრად მუნიციპალიტეტი
ჭავერის სამუნიციპალიტეტის ტემპერატურა ჭავერის აბსოლუტური მინიმალური ტე- მპერატურა (მინუსი)	13,3—14,7	11,4	10,8—11,7	9,8—14,3
საჩხერი, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა (მინუსი)	15—20	20	18	12—22
მარტინისალური ტემპერატურა	6—10	15	12—14	5—15
ყაზბეგისალური ტემპერატურა	38—40	36	34—36	32—39
ყაზბეგისა დღეების რაოდენობა	79—101	132	138—140	35—142

ფ ფ ს ვ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ძელქვის ძლიერი აქცეს, ინვითარებს
ერტიყალური მიმართულების მთავარ ფესვს და ნიადაგის ზედაპი-
რის მიმართ პარალელური მიმართულების გვერდით ფესვებს. მთა-
ვარი ერტიყალური ფესვი, ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში,
1,5—2,5 მ და მეტ სილრმეზე ჩადის გრუნტში, ხოლო არახელსაყრელ
პირობებში (როდესაც ნიადაგი თხელია და დედა ჭიში კლდოვანი
ან გრუნტის წყალი ახლოსაა ნიადაგის ზედაპირთან) აღრევე ხდება
ფესვის დეფორმაცია და იგი სილრმეზე ვერ ვითარდება.

ღრმა ნიადაგებში გვერდითი ფესვები ხშირად განლაგებულია
სირთულებად. პრილიპკოს გამოკვლევით [31] სართულთა რაოდე-
ნობა 2—3-ა, ერტიყალური მანძილი ზედა და ქვემო ფესვებს შო-
რის 1—2 მ-ს უდრის. ზედაპირული გვერდითი ფესვები, რომლე-
ბიც გამონაზარდი არიან ფესვისყველიდან, სწრაფად მსხვილდებიან
ფუძესთან ახლოს და მაღალ ხნოვანებაში ზოგჯერ ღებულობენ ფი-
ცრისებრ ფესვის ფორმის, რაც დამახსიათებელია ხეებისათვის
ტროპიკებში. მეორადი გვერდითი ფესვები ჩვეულებრივ წერილია,
მაგრამ გრძელი. ჩვენ გავთხარეთ 60-წლიანი ძელქვის ფესვები მსუ-


ბუქ თიხნარ-ლორდიან ნიადაგში სადაც მეორადი ფესვების სიგრძე
13—16 მ-ს აღწევდა, დიამეტრი ფუძესთან კი 2—3 სმ-ს აზ. აღვმო-
ტებოდა.



სერ. 4. 60 წლიანი ძუღების ფესვთა სისტემა თიხნაროვან-ლორდიან
ნიადაგში (კლიფოვანი დედა ჯიშით), სოფ. ილევი, ზესტავონის რაიონი

Корневая система болетней кавказской дзельквы в щебнистой су-
глинистой почве (материнская порода — горные скалы), Зестафонский р-н
Зап. Грузия.

ძლიერი და ღრმა ფესვთა სისტემის გამო ძელქვა ქარგამძლეა.
ცეკიათ შემთხვევაში ქარქცევადობას შეიძლება პეონდეს იღვილი
დაჭაობებულ ნიადაგზე ან იმ შემთხვევაში როდესაც გრუნტის
წყლები ნიადაგის ზედაპირიდან ახლოს მდებარეობდენ და მცენარეს
ირ აქვს საშუალება განივითაროს ღრმა ფესვთა სისტემა.



Կան. 5. 7-վամբան ճպաճի ցոյքի առջևի անդամների նշան նկարության
Կառավար համակարգության կողմէն պահպան և ստուգության
Տեխնիկական գլուխացնության համար

ტენის მიმართ ძელქვა მომთხოვნი ჯიშია, მაგრამ იგი ძნელად ან სრულიად ვერ იტანს დაკაობებულ ნიადაგებს და მეზოფიტაც ითვლება. როგორც მეღვედევი შენიშვნას [29], ძელქვა კარგად ვითარდება მდინარისა და ლელის პირებში, სადაც ნიადაგი და ჰერი საქმიად ტენიანია. ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ძელქვის ქსეროფიტული ეკოტიპი იმერეთში, კახეთში, მთიან ყარაბახში (საშუალო წლიური ნალექები 560 მმ) და თალიშში გვხედება სამ- ირეთ ფერდობების ჩამორჩებილ ნიადაგებზე, სადაც ტენი მცირე რაოდენობითა და მცენარეულობა ძირითადად წარმოდგენილია ქსეროფიტი ჯიშებით. ასეთ პირობებში ძელქვა თითქმის ნორმალურად იზრდება, თესლებს ხმოიარობს და მრავლდება, რაც იმის დამა- ლასტურებელია რომ ძელქვის სახეობის ფარგლებში, როგორც ზე- მოთ აღვნიშნეთ, არსებობს უკვე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ფორმი (ეკოტიპი), რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს კულტურების გაშენების დროს.

ნიადაგის მიმართ ძელქვა საშუალო მომთხოვნ ჯიშად უნდა ჩაითვალოს, მას აქვს უნარი შეეგუოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს, მათ შორის სუსტად განვითარებულ კაბონატულ და უკარბონატო ჩიადაგებსაც. მინერალური ელემენტების საჭიროების გამორკვევის შინნით, განსაზღვრული იყო ძელქვის მერქანტში ნაცროვან ნიერით საერთო რაოდენობა (ანალიზი გააქეთა ბათუმის ბოტანიკური ბალის ლაბორატორიაში ვ. ანგელსკიმ). საანალიზოდ აყილეთ ძელქვის ლეროს მერქნის ნიმუშები თბილისის ბოტანიკური ბალიდან, გაიყოვსკის რაიონიდან და ლერიკიდან (თალიში). ნაცროვან ნიერით გაშენებათა საერთო რაოდენობა აღმოჩნდა შესაბამისად:

1.63%, 1.02% და 1.33% — აბსოლუტურად მშრალ მერქანტი.

1.41%, 0.83% და 1.10% — მერქანტი 12,7—13,3% ტენის დროს.

როგორც ვხედავთ ძელქვა ნიადაგის მინერალურ ნიერით გაშენებათა მიმართ საქმიანოდ დიდი საჭიროების ჯიშია.

დასავლეთ საქართველოში ძელქვის გავრცელების რაიონები ძირითადად შემდეგი ტიპის ნიადაგებით ხასიათდება (ნიადაგის ტი- პები მოგვყავს საბაშვილის მიხედვით — 7): 1) ალუვიალური და ალუვიალურ-ლორილიანი ნიადაგები, ქვიშიანი და ქვიშიან-თიხიანი მდინარეთა გასწვრივ და ლორილიანი — წყალგამყოფზე, ალაგ-ალაგ რიყის ნაფენი და ფარულია ზემოდან სხვადასხვა სისქის თიხიანი ფე- ნით; 2) ეწერი ნიადაგები განვითარებული ალუვიური ნაფენებიდან, ჩაიათდებიან ძლიერი გამორჩევით და მკაფიოდ გამოხატული გა-

ეწერებოთ; 3) ეწერლებიანი ნიადაგები — ამ ნიადაგებს უჭირავს გარდამავალი ადგილი ეწერ ნიადაგებსა და ჭაობის ლაშიან ნიადაგებს შორის, ხშირად ახასიათებს თიხიანი შედგენილობა; 4) ნეშომპალა-ქარბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგები მთისწინა კალთებზე, ალაგ-ალაგ სუსტად განვითარებული. კახეთში ძელქვა გვერცელებულია სხვადასხვა სისქის და მექანიკური შედგენილობის ტყის ყომრალ ნიადაგებზე. ასეთივე ტიპის ნიადაგზეა იგი მთიან ჟარაბაბში. თალიშში ძელქვა გვხვდება უმთავრესად: დაქაობებისადმი მიღრეკილების ალუვიურ ნიადაგებზე, ალუვიურ კარბონატულ ნიადაგებზე და გაეწერებულ ყვითელ-მიწა ნიადაგებზე [34].

თესლებსა მოიარობა

თესლებს სხმოიარობას ძელქვა იწყებს ტყეში 20—30 წლის, ხოლ ცალკემდგომი ხეები 15—25 წლის ხნოვანებაში. ზრდა-განვითარების კარგ პირობებში ტყეში მსხმოიარობა ამა თუ იმ ხარისხით ითქმის ყოველწლიურია, მაგრამ უხვ მსხმოიარობას, ჩვეულებრივად 2 წელიწადში ერთხელ ან 3 წელიწადში 2-ჯერ იქნას ადგილი. ჩაც შეეხება ცალკემდგომ ხეებს ისინი თესლს მეტწილად ყოველწლიურად იძლევიან, მაგრამ არის ისეთი წლებიც, როდესაც, რახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, მსხმოიარობა სრულებით არა. მსხმოიარობის სიუხვე და თესლის ხარისხი დამოკიდებულია ეკოლოგიურ პირობებსა და ცალკეული ეგზემპლარების დიდი და უაღმიარებელ ბიოლოგიურ თავისებურებებზე. არის შემთხვევები, როდესაც ყვავილობა უხვია, მაგრამ კლიმატური პირობების შედეგად (გვიანი ყინვები, გვალვა ან, პირიქით, გამუდმებული წეიმები ყვავილობის დროს, ხანგრძლივი ძლიერი ქარები და სხვა) თესლის მოსავალი ძალზე მცირე ან სრულებით არა, ან არის, მაგრამ უხარისხო. სევე, დაბალი ზონიტეტის ტყეებში თესლის მოსავალი და ხარისხი დაბალია. ჩაც შეეხება ბიოლოგიურ თავისებურების, ეწერ ისანიშნავია პირელ ჩიგში ყვავილობის ხასიათი და დამტკერილების პირობები. არის ძელქვის ისეთი ეგზემპლარები, რომლებიც შეტწილად მამრობით ყვავილებს ინკითარებენ და ცხადია, მათვან მოსავალსაც მცირე რაოდენობით, ან სრულიად ეერ მივიღებთ.

როგორც ცნობილია, ძელქვა ერთბინიანი მცენარეა, ერთსა და იმავე ეგზემპლარზე არის როგორც მამრობითი ასევე მდედრობითი ყვავილები, მაგრამ, მიუხედავად ინისა უკეთესი ხარისხის თესლის

ვდებულობთ ჯვარედინი დამტვერვის დროს, ვიღრე თვითდამტვერვის შემთხვევაში. ამიტომ ხშირ ქელქენარში შეგროვილი თესლი კოველთვის უკეთესი ხარისხისაა ვიღრე მეჩენერში და ცალკემდგომი სერიდან შეგროვილი. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი სხვადასხვა ად-

ცხრილი 4
თესლის ხარისხის ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებელი ცხრილი	დაკვირვების ადგილი	სად შეგროვდა თესლი	მაჩვენებელი		მაჩვენებელი
			სატენი	1000-ს სტენი	
1957	ლენქორანი .	შემწერ ტყეში .	27	—	
"	სტეფანაკერტი .	საშუალო სისმირის ტყეში .	79	—	
"	აჯამეთი . . .	შემწერ ტყეში თესლი შეგროვდა ვარჯის ზედა ნაწილში .	16	28	
"	აჯამეთი . . .	იმავე ადგილას თესლი შეგროვდა ქვედა ტოტები .	1	28	{ თესლი გაისინება შეგროვებიდან 10 დღის შემდეგ
1954	აჯამეთი . . .	თესლი შეგროვდა შემწერ და ცალკემდგომი ხევზე .	3	22	
1958	ქუთაისის რაიონი . . .	ცალკემდგომი ხევზე .	15	19	შემოწმდა საშუალო სინურ შეგროვებიდან 1,5 წლის შემდეგ
1954	ჩხარ-ტერირი . . .	ხევზე ვაკეები, მდინარიდან 100 მ დაზრდებით .	2	24	
1954	დაღლიკაური (ზე- სტაციონის რაიონი)	ცალკემდგომი ზიდან, სამწრ. ეჭვმოს. ჩამორეცხილი ნიადაგი .	0	—	
1951	სოფ. ილუბი (ზე- სტაციონის რაიონი) . . .	ცალკემდგომი ხე ვაკე აღილზე, ქვედა ტოტები შეგროვებით თესლი .	0	—	
1960	"	—	0	—	
1960	"	ხედა ტოტები შეგრ. .	2	—	
1960	"	ცალკემდგომი ხე, აქეც შესაძლებლობა ჰევტედინი დამტკერიანების, ძორა ტოტები .	10	—	
1960	სოფ. შევამთა (ვა- ნის რაიონი) . . .	გზის პირას ხეიგანში მდგომი ხე, თესლი შეგრ. ვარჯის შეუ ნაწ. . . .	11	—	
1960	"	იმავე ხეიგანში მეორე ძორა ხე	49	29	{ შემოწმდა შეგ- როვებიდან 2- დღის შემდეგ
1960	სოფ. აშალლება (ვა- ნის რაიონი) . . .	ცალკემდგომი ხე	52	31	
1960	თემ-ქვითი (წყა- ლტუბის რაი- ონი)	სეგბის პატარა ჯავუი (ვა- რჯის ქვ. ნაწილში) . . .	47	31	
1960	"	ცალკემდგომი ხეები . . .	28	30	

გილებში შეგროვები თესლის ხარისხიანობის ზოგიერთ მაჩვენებელებზე. ამ ცხრილში არაა მონაცემები გალივებაზე, რადგანაც ჩვეულებრივად გაღივებისა და სრულგულიანობის % ერთმანეთს ემთხვევა.

ვ. ასანოვაშვილი [10] 1955—56 წწ. შეისწავლა ნაყოფმსხმოიარობა თალიშში 100—120 წლივან 0,6 სიხშირის წმინდა ძელქვენარში და ილრიცხა თესლის მოსავალი ერთ ჰექტარზე 250—500 კგ-მდე. ჩვენი დაკვირვებით იმერეთის ძელქვებზე გაირკვა, რომ ტუეში ერთი ძირი 80—120 წლიანი ძელქვიდან 10—15 კგ, ხოლო ცალკე-შდგომ ხდიან, დამტკერიანების კარგ პირობებში 15—30 კგ თესლი შეიძლება შეგროვდეს.

ჩვენ ივლეთ სანიმუშოდ 55 წლის ცალკემდგომი ხე ზესტაფონის რაონის სოფ. ილემში, რომლის დიამეტრი უდრიდა 60 სმ, იმაღლე—15 მ, ვარჯის სიგრძე—12 მ, ხოლო ვარჯის დიამეტრი—10 მ. ამ ხემ 20 კგ თესლი მოვვეა.

თესლის შეგროვება ხდება სექტემბერ-ოქტომბერში უშუალოდ ხეებზე ან ხეებს აჭრიან მცირე ზომის (30—50 სანტიმეტრიან) ტოტებს, ჰყრიან მას ძირს და შემდეგ ახდენენ მის გაყრეფას; თესლის შეგროვება შეიძლება აგრეთვე ტოტების დაბერტყვით თუ ხეს დაბლა ბრეზენტს ან სხვა საფენს დატყვენთ.

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, ძელქვა ზრდა-განვითარების კარგ პირობებში საქმიან კარგი ხარისხისა და რაოდენობის თესლს იძლევა და სრული შესაძლებლობა გვაქვს, როგორც საქართველოში ასევე აზერბაიჯანში შევაგროვოთ თესლი კელტურებისათვის ისეთი რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება.

მიღვის მავნებლები

ძელქვის მავნებლები ჯერჯერობით კარგად და სრულად არ არის შესწავლილი, იქ მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი ცნობები. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ახალგაზრდა კავკასიური ძელქვის ფოთლებზე წემწნეულია შემდეგი მავნებლები²:

მოზამთრე მზომელი *Operophtera brumata* L., მოყვითალო-მომწევანი მატლი, 1,5—2 სმ-მდე სიგრძის, მუქი თავით, გვერდებზე და ზურგზე რუხი ფერის ხაზებით. მატლი კამს ფოთლის ჩბილობს, დაუზიანებელი რჩება მხოლოდ მთავარი ძარღვები.

² მავნებლები გარკვეულია ბათუმის ბოტანიკური ბაღის შეცნიერ შეზეპი ვ. ხელის მიერ.

ბუგრი — *Byrsocrypta* sp., შემჩნეული იყო მხოლოდ პართვნოვანები დელები, მატლები ჯერჯერობით არ ყოფილა ნახულის დაზიანების შედეგად ფოთლების წვერო იხრება ქეემოთ, ხოლო ძარღვებს შორის ფოთლი მოიბურცება. ბუგრების მიერ ფოთლებზე წარმოშობილ გალებს პირველად ყველელი ფერი იქნა, შემდეგ კი წილდება. მავნებლის ბიოლოგია არ არის შესწავლილი.

ძელქვის მერქანზე არსებობს შეხედულება, თითქოს იგი არ ზიანდება მავნებლებისაგან, მაგრამ ეს სწორი არაა. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აქვს ადგილი მერქნის დაზიანებას. ა. სუპატაშვილი [9], ახალგაზრდა ხეებისათვის და მათ შორის ძელქვისათვის აღნიშვნავს: არაფარდ მემერქნიას — *Anisandrus dispar* Fabr., ჩვენს მიერ ეს მავნებელი შემჩნეული იქნა ხნიერ, 40—80 წლის ძელქვის შერქანშიც. მერქნის ნიმუშები ფერდეთ ლეი-თიკის რაიონიდან (თალიში), თბილისის ბოტანიკური ბალიდან და მაიაკოვსკიდან, დაზიანება საკმაოდ ძლიერი იყო. გარდა არაფარდ მემერქნისა ძელქვის მერქანში შემჩნეულ იქნა კავკასიის ექვსეპილა მემერქნია (*Sinoxylon perforans* Schr.) — 5—7 მმ სიგრძის, მოყავისფრო ხოჭო შავი თავით, უკანა ნაწილზე რამდენიმე ნამარით; მერქნის გარე ნაწილში აკეთებს ცილინდრულ ან დატოტვილ სასკლელ ხერელებს.

როგორც აღნიშნეთ ძელქვის მავნებლები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი შესწავლილი, ამიტომ საჭიროა სატყეო სამმართველომ და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი—გამოიყენოს მავნებლები და დასახოს ლონისძიებები მათთან საბრძოლულად.

კილმის მიმართ

ძელქვა ინკითარებს გულის და ცილის მერქანს. გულის განვითარება ეწყება 15—25 წლის ხნოვანებიდან და რაც უფრო ხნოვანია ხე, მით უფრო მეტად აქვს იგი განვითარებული. გარდა ხნოვანებისა, გულის განვითარება დამოკიდებულია მცენარის ადგილ-სამყოფელოს ეკოლოგიურ პირობებზე და ინდივიდის ბიოლოგიურ თვეისებურებაზე. რაც უფრო მშრალ პირობებში იშრდება ხე ძირ უფრო უკეთ ინკითარებს გულს, მაგალითად, თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაზრდილ 90—95 წლიან ძელქვას ჰქონდა განვითარებული გულები.



պայմանի օգլոյթ առ. Եղիսաբետ Արքային հայոցին կանուգութեա [35]

* Հայոց կողմէն ելքը համար թիվ Այսպահական [28] նշեցը առ պահ 0.95, քիչ ավելի՝ [17] նշեցը՝ 0.67—0.95, քիչ ավելի [20] նշեցը՝ 0.87, եթէու կը համար առաջատար տեղունք Խոյնացու ծառ, Անդրադակ համար գույքական համար Խոյնացու նշեցը՝ 0.77—0.80, յ. ա. կը կա Խոյնացու յանձնյալ Խոյնացը և Խոյնացը.

ბული გულის მერქანი დიამეტრის $\frac{9}{10}$ -ზე, იმავე ხნოვანების ხეს
აჯამეთის ნაკრძალში—(შედარებით ტენიან პირობებში) $\frac{6}{10}$ -ზე, ხო-
ლო 200 წლიან ძელქვას ასტარის ოაიონში $\frac{8}{10}$ -ზე და ა. შ.


ცილის მერქანი ჩვეულებრივად თეთრი-მომწვანო (ახალგაზ-
ადობაში), თეთრი-მოყვითალო ან მოყვითალო ფერისაა, ხოლო
ცულის მერქანი მოყავისფრო-მოწითალო ან წაბლისფერი-მოოქროს-
ფროა. სინესტეში და წყალში მერქანი ღებულობს ყავისფერს ან
მუქ წაბლისფერს. მერქანში შემოღომის ნაზარდისათვის დამახა-
სიათებელი არის წერილი ჭურქლების ღიდი რაოდენობა, რის გა-
მოც გადანაკერზე კარგად მოჩანს წლიური რეოლები. იაკენეო-
ხმელებსას გამოკვლევით [35] გაზაფხულის მერქანში ჭურქლების
რაოდენობა 1 მმ²-ზე უდრის 50-ს, ხოლო შემოღომის მერქანში—
148-ს⁴. ძელქვის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახასიათებ-
ლად მოვყავს მე-5 ცხრილი, რომელიც შეღვინილია ნოვრუზოვას
დეტალური გამოკვლევის შედეგად [35]. ცხრილიდან ნათლად ჩანს
ძელქვის მერქანის მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და ია-
კენეო-ხმელებსაკეთ სამართლიანი აყენებს მას ამ მხრივ ისეთ სამ-
რეწველო მაგარ ჭიშებზე მაღლა, როგორიცაა რცხილა, მუხა, წი-
ლი, იფანი [35]. ამასთანავე უნდა შეენიშნოთ, რომ მიუხედავად
დადი სიმკრიივისა ძელქვის მერქანი აღვილად მუშავდება, ამავე
დროს გამძლეა სიდამბლის მიმართ და დიდხანს ძლებს ლია ცის
ქვეშ ღიდი სინესტის პირობებშიც კი.

ძელქვის ტავიათი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძელქვის ტყეები სხვა ჭიშების
შერევით ან წმინდა კორომების სახით საქმაოდ ფართოდ იყო გავრ-
ცლებული ჭერ კიდევ ახლო წარსულში, მაგრამ უსისტემო ექს-
პლოტაციის შედეგად განადგურებამდე მივიდა. დღეისათვის ძელ-
ქვის წმინდა კორომები გვხვდება აქა-იქ მცირე ფართობებზე თალიშ-
წი და, უფრო იშვიათად, დასავლეთ საქართველოში.

პრილიპკომ შეისწიელა აზერბაიჯანის მცინარეულობა [31] და
ძელქვის შერეულ ტყეებში, საღაც ძელქვა იყო გაბატონებული ან

⁴ მერქანის სრული ანტომიური დახისიათება მოცემულია იაკენეო-ხმელებ-
სკის შრომაში [35].

საქმიოდ დიდი პროცენტით მონაწილეობდა, გამოყო  შემდეგი რიცხვი:

1. მშრალი ადგილების დაბუჩქული ძელქვნარი მინდერის ბალანსული საფარით. ეს ტიპი ხშირი კრებისა და საქონლის ძოვების შედეგად წარმოადგენს ტყის დეგრადაციის ერთ-ერთ უკანასკნელ საფეხურს.

2. მშრალი ადგილების ძელქვნარი ჯაგრცხილით.

3. გრილი ადგილების მუხნარ-ძელქვნარი კუნელის ქვეტყით. ეს ტიპი გვხდება ნახევრად ტენიან და ტენიან ადგილებში. პირველ შემთხვევაში I სართული წარმოადგენილია წაბლფოთოლა მუხით და ძელქვით, საბურეელის შეკრულება 0.6, ბონიტეტი III—IV, ქვეტყით—*Crategus Kyrrostyla*, *C. lagenaria*; ბალახეული საფარი: *Dactylis glomerata*, *Brachypodium silvaticum*, *Carex silvatica*, *Primula heterochroma*, *Centaurea hyrcanica* და სხვა. მეორე შემთხვევაში მძიმე ქვეთიხნარ, ყვითელმიწა გაეწერიანებულ ნიადაგებზე ტყე წარმოადგენილია I სართულში ძელქვითა და წაბლფოთოლა მუხით (9 ძელქვა, 1 მუხა), II სართულში ხე-რკინა, მოხარდზი—ძელქვა, ჩვეულებრივი იფანი, წაბლფოთოლა მუხა; ქვეტყით—კუნელი, ზღაპრული, პირკანული თაგვისარი; ბალახეული საფარი (დაფ. 30%)—*Brachypodium silvaticum*, *Carex divulsa*, *Viola caerulea*.

4. გრილი ადგილების რცხილნარ-ძელქვნარები ბალახეული საფარი—*Brachypodium*.

5. გრილი ადგილების თელნარ-ძელქვნარები: კუნელის ქვეტყით ან ბალახეული საფარით—*Carex*.

I ტიპის ძელქვნარები გვხდება თალიშში უმთავრესად ძელქვის ტყის ზედა საზღვარზე და მთიან ყარაბახში ტყის ქვედა საჩტყელში ჯაგრცხილასთან, ხოლო მთებში 1100—1200 მ სიმაღლეზე ქართულ მუხება და ჯაგრცხილასთან ერთად. ამ ტყეების სამეურნეო მნიშვნელობა ამჟამად ძალზე მცირეა, მაგრამ თუ კი იქ გატარდება სათანადო სატყეო-სამეურნეო ლონისძიებები, ტყე აღდგება და მას საქმიოდ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ექნება.

II ტიპის ძელქვნარები დაბალი ბონიტეტის ტყეებს წარმოადგენს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ისინი უმთავრესად სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობზე არიან და ნიაღაგდაცემით შნიშვნელობა იქვთ, მაშინ უდაო გახდება მათი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა. საექსპლოატაციო თვალსაზრისით მეტ ყურადღების იმსახურებს მუხნარ-ძელქვნარები და რცხილნარ-ძელქვნარები,



რომლებიც უმთავრესად ლენქორანისა და მის მეზობელ რაიონებში გვხვდება, სადაც 100—120 წლის ხნოვანების კორომები ერთ პექ-ტელნარების 700—900 კუბომეტრ მერქანტს იძლევა. რაც შეეხება ძელქ-ტელნარებს ან თელნარ-ძელქენარებს ეს ტყეები უმთავრესად ვაკეებშია და მასში თელის მონაწილეობას პრილიპკო [31] ხსნის ნიაღაგის ზედაფენაში ტენის დიდი რაოდენობით.

საერთოდ უნდა აღიხის შხოს, რომ შედარებით მაღალი წარმა-დობის ძელქენარები დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ თა-ლიშვი.



სურ. 6. ძელქეის ხე ქ. ლენქორანში, IX 1957.
Дзелька в г. Ленкорань.

მთიან ყაჩაბახში ძელქვა ამჟამად გვხვდება უმთავრესად ამონა-ყრის სახით სხვა ჯიშებთან შერეული, ასე, მაგალითად, სტეფანაკე-ტის გარეუბნებში და სოფ. კრასნი ბაზარის მიდამოებში ძელქვა

შერეულია ქართულ მუხასთან, ნეკერჩხალთან, შინდთან, ვანჭყა-
ტთან, იფანთან, კუნელთან, მაეკლოსთან და სხვა ჯიშებთან. შერ-
ჩებით ვრცლად არის გავრცელებული ერთეულ ხეებად ან მცირე
ჯგუფებად გაღრუტის რაობნში. ოვით გაღრუტის მიღამოებში ძელ-
ქვა იზრდება აყავთან და ძეძეთან ერთად. აქა-იქ შემორჩენილია
ცელქვის მსხვილი ეგზემპლარები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ
წინათ აქ კარგი ძელქვნარები იყო.

საქართველოში, ძელქვის წმინდა კორომი შემორჩენილია მარ-
კოვსკის რაობნი 1,5 ჰექტარზე. ჩვენ ავიღეთ ამ კორომში სანიმუ-
შო ფართობი $38 \text{ m} \times 100 \text{ m}$ და აღვრიცხეთ ყველა ხე, რომელთა რა-
ოდენობა აღმოჩნდა 110 (ჰექტარზე გადაყვანით 290), უწერილესი
ხის დიამეტრი უდრიდა 28 სმ, უმსხვილესი — 105 სმ, საშუალო
დიამეტრი — 44 სმ, ხეთა განკვეთის ფართობი — 16,8 მ² (ჰექტარზე
გადაყვანით 44,2 მ²), მერქნის მარაგი 190 მ³ (ჰექტარზე გადაყვანით
— 500 მ³ ხეთა ღეროებისათვის და 737 მ³ კორომის საერთო წარმა-
ლობა); ტყის სიხშირე მარაგის მიხედვით სანიმუშო ფართობზე უდ-
რის 1,0, ხოლო მთელ ფართობზე, რადგან ალაგ-ალაგ კორომი გამე-
ჩხერებულია, იგი ნაკლებია. ქვეტყე გვხვდება უმთავრესად ფანჯ-
რებში: კუნელი, ზღმარტლი და ასკილი. ზილახეული საფარი წარ-
მოდგენილია საქმიოდ მდიდრად შემდეგი სახეობებით: *Bromus co-*
mmutatus Schrad.; *Agrostis alba L.*, *Lolium perenne L.*; *Veronica peduncularis MB.*; *Torilis sp.*; *Stellaria media L.*; *Smyrnium perfoliatum L.*; *Melandrium Balansae Boiss.*; *Silene multifida (Ad.) Rohch.*, *Sonchus asper Vill.*; *Medicago sp.*; *Thalictrum minus L.*; *Calystegia silvatica (W. et K.) Choisy.*; *Serratula quinquefolia MB.*; *Matricaria sp.*; *Colchicum umbrosum Stev.*; *Agri-
monia eupatorium L.*; *Chenopodium sp.*; *Plantago lanceolata L.*; *Viola sp.*: *Lamium album L.*; *Trifolium sp.*; *Ranunculus sp.*; *Glechoma hederacea L.*; *Arum albispathum Stev.*; *Hypochoeris radicata L.*; *Campanula sp.*; *Brachypodium silvaticum R. et Sch.*; *Ruscus ponticus G.* ამ ტყეზი აღმონაცენითა და ფესვის ნაბარტ-
უით გამრავლებას აქვს აღვილი, მაგრამ მოზარდი ვერ ვითარდება:
საქონლის მუდმივი ძოვების გამო, საჭიროა ამ მეტად საინტერე-
სო ობიექტის ყოველმხრივი დაცვა⁵.


⁵ აღნიშნული ფართობის დაცვის შესახებ დასმული იყო საქონტი საქართ-
ველის მინისტრთა სამუშაოთან არსებულ სატყეო მეურნეობის ნაკრძალებისა
და სამონ. მეურნ. მო. სამშართველოს წინაშე, რომლის მიერაც უკვე მიღებულა.

ქელქეის პატარა ჯგუფები 500—1000 მ² ფართობებზე შემორჩენილია იგრეთვე თერჯოლის და წყალტუბოს რაიონებში. თერჯოლის



სურ. 7. ძლიერის წარმოდგენი კონკორდი მაიკონების რაოდნები, სოფ. ტერისათვის სექტემბერი, 1960 წ.

Чистое насаждение дзельцы в Маяковском районе, Западная Грузия, IX. 1960



სურ. 8. 60 წლ. ძელქენარი მცირე ფართობზე თერჯოლის რაიონის სოფ. ჩატოში. 60 კ. დასახური და გარე მუნიციპალიტეტის მიმდევარი და გარე მუნიციპალიტეტის მიმდევარი.

ლიად არ იყო ხეების ქვეშ, ღროვამოშვებით ადგილი ჰქონდა ფარ-
თობის გაპატივებას, რადგან ხეებს შორის აბამდნენ საქონელს
ჩვენ გავიანგარიშეთ ამ ფართობზე მერქნის მარაგი და ჰქეტარზე
გადაანგარიშებით 400 მ² მივიღეთ. 60 წლის ხნოვანებაში ერთ ჰქე-
ტარზე 400 მ² ძელქვის მერქანი მეტად საინტერესო მოვლენაა, რა-
მაც მეტყველეთა ყურადღება უნდა მიიქციოს.

ძელქვის რამდენიმე სუფთა შემადგენლობის ჯგუფი არის გა-
დარჩენილი წყალტუბოს რაიონში სოფ. ოფშეკიში მდ. რიონის
მარჯვენა ნაპირზე, ეს ჯგუფები 20—30 წლიანი, ზოგ ადგილის კი
სიოვანი ეგზემპლარებით არის წარმოდგენილი და საქმიოდ მაღალი
(0,7—0,9) სიხშირისაა. ზოგიერთ ადგილებში არის საშუალება მცი-
რე ჯგუფები გაერთიანდნენ და ხელოვნური ჩარევით შესაძლებე-
ლია 2—3 ჰქეტარსა და მეტ ფართობზედაც აღვადგინოთ ძელქვი-
რები ტყის სხვა ჭიშების უმნიშვნელო მონაწილეობით.

შერეული კორომები ძელქვის გაბატონებით შემორჩენილია
კახეთში. როგორც უკვე აღნიშნეთ, კახეთის ძელქვნარები პირვე-
ლად ი. აბაშიძემ (1947 წ.), ხოლო შემდეგ მ. ექვთიმიშვილმა აღწერა
ამერტის რაიონში სოფ. ბაბანეურისა და არგოხის მიდამიებში
(3,4), ძელქვა იქ გვხვდება უმთავრესად ფერდობებზე და ნაწილო-
ბრივ დაღამლებულ ადგილებშიც, სადაც იგი ქმნის თითქმის წმინ-
და ან შერეულ დაგუფუფებებს მუხასთან, რცხილისთან, ჯაგრუხილის-
თან, იფანთის და თელასთან. ამ კორომების დასახასიათებლად ი. აბა-
შიძეს აღებული იქვს ორი სანიმუშო ფართობი. პირეელი სანიმუშო
ფართობი აღებულია აღმოსავლეთ ექსპოზიციის ოდნავ დამრეც
ფერდობზე. კორომი იქ წარმოდგენილია ძელქვნარით რცხილის
უმნიშვნელო შერევით (9 ძელქვა, 1 რცხილა), სიხშირე—0,4—0,5,
საშუალო სიმაღლე—5—6 მ, საშუალო დიამეტრი—54,5 სმ. ქვე-
ტყეში გავრცელებულია: შინდი, შინდანწლა, ზღმარტლი, კუნელი
და კვიდო. ბალახეული საფარი სუსტადა განვითარებული და წარ-
მდგენილია შემდეგი სახეობებით: *Fragaria vesca* L.; *Helleborus*
caucasicus A. Br.; *Glechoma* sp.; *Melissa officinalis* L. მეორე სა-
ნიმუშო ფართობი აღებულია სამხრეთ ფერდობზე, კორომი შერე-
ულია (6 ძელქვა, 3 რცხილა, 1 მუხა), სიხშირე—0,5, საშუალო სი-
მაღლე—6-7 მ, ძელქვის საშუალო დიამეტრი—42,5 სმ. ქვეტყეში
გავრცელებულია: შინდი, წინდანწლა, ისკილი, ტყემალი, ძეგვი,
კუნელი და სხ.; ცოცხალი საფარი (*Verbena officinalis* L.; *Calan-*
mintha menthaefolia Host.; *Erigeron canadensis* L. და სხ.) სუს-
ტად არის განვითარებული. ამ ფართობებზე ყურადღებას იპყრობს

ძელქვის დაბალი სიმაღლე, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მეტწილად აქ ნაპელი ხეები გვხვდება (უმაღლესი ხის სიმაღლე 12 მ უდრის).

1957 წელს სტორი, მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილ იქნა ძელქვის მეორე კერა, სადაც ძელქვნარი დაახლოებით იმავე ტიპისაა, როგორიც ბაბანეურსა და ორგონის მიღამოებში (ი. ვაჩნაძე). 1959 წ. აყად. ნ. კეცხოველმა ი. ვაჩნაძესთან ერთად დაათვალიერა კახეთის ძელქვნარები და შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორებები აბაშიძისა და ექვთიმიშვილის ცნობებში [5]. იგი კახეთის ძელქვნარებს თრ ჯგუფად პყოფს: ერთი—მთისწინა კალთების ძირის ქვემო სარტყელშია ზღვის დონიდან 430 მ და წარმოდგენილია უმთავრესად ძელქვნარ-ჯვანარით, ძელქვის ღილი მნიშვნელობით; მოზარდი აქ დაფაგულია საქონლის ძოვებით. მეორე ძელქვნარი გვხვდება 450—500 მ სიმაღლეში, აქ ტყე უფრო შემონახულია, ალავ-ალაკ შეხვდებით 20—30 მ სიმაღლის ხეებს 90 სმ დიამეტრით. ნ. კეცხოველი მეორე ჯგუფის (შედარებით შემონახულ) ძელქვნარებში აღწერს შემდეგი ტიპის ცენოზს:

პირველ იარუსში—ძელქვა, მუხა ქართული, რცხილა, ნეკერჩხალი, იფანი, თელა, წიფელი, მავალო, პანტა, თამელი;

მეორე იარუსში—კუნელი (*Crataegus Kyrstostyla* Fing.; *C. pentagine* W. K.), ჯაგრუხილა.

მესამე იარუსში—შინდი, შინდინწლა, ასკილი, კვიდო, ზღმარტლი, ჭანჭყატი.

კახეთის ძელქვნარი დღუისათვის წარმოდგენს ბუნების უნიკალურ ძეგლს და გამოცხადებულია საერთაშორისო.

დასავლეთ საქართველოში შერეული კორომები ძელქვის გამართებით უკვე აღარ გვხვდება, აქ გავრცელებულია უმთავრესად დეგრადირებული ტყეები: ძელქვნარები ჯაგრუხილით, ძელქვნარ-რცხილნარი, რცხილნარ-ძელქვნარი ჯაგრუხილის შერევით, მუხნარ-რცხილნარ-ძელქვნარი და სხვა. საქართველოში ძელქვა შერეულია ტყეში და ბუჩქნარებში შემდეგ ჯიშებთან ერთად: რცხილა, ჯაგრუხილა, ქართული მუხა, იმერული მუხა, პართვისის მუხა, თელა, იფანი, პანტა, მავალო, თამელი, თეთრი აყაცია და სხვასთან (თეთრი აყაცია დასავლეთ საქართველოში ხშირად იქრება დეგრადირებულ ტყეებში); ქვეტყიდან ძელქვნარებში ან ძელქვაშეჩერებულ ტყეში გვხვდება: კუნელი, იყლი, ასკილი, ჯონჯოლი, კვიდო, ძეძე და სხვა. მუდმივი ჭრებისა და საქონლის ძოვების შედეგად მიღუ-

შული დეგრადირებული ძელქვნარები დიდი რაოდენობითაა დასა-
ულეთ საქართველოში: ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს, ქუ-
თაისის, მაიკოვსკის, ვანისა და სამტრედიის რაიონებში; უფრო



სურ. 9. ძელქვა კაშვიში (ფოტო ნ. კვებოველის)
Даселька в Кахетии, Восточная Грузия

მცირე რაოდენობით კი: ჭიათურის, ორჯონიქიძის, ცხაქაიასა და
ვაგერეორის რაიონებში.

ცხრაასიან წლებში ლომავინას მიერ [26] აღწერილი იყო ყოფ. შორაპნის მაზრის ტყეები და მათ შორის ძელქვნარები. ჩენ ეს აღვილები განმეორებით შევისწავლეთ და იქ, სადაც 50—60 წლის წინათ ძელქვნარები, ძელქვნარ-მუხნარები და ძელქვნარ-რცხილ-ნარები იყო მშეამად ძელქვა ან სრულებით ილარაა ან დაჭავულია საქონლის გამუდმებული ძოვებით. უნდა შეენიშნოთ, რომ საქონე-ლი ძელქვის დიდი მტერია, იგი ეტანება, როგორც ფოთოლს, ასევე ნეკერს?. საქონლის ხშირი ძოვებით ძელქვა იბუჩქება, ლებულობს

⁷ მეღველევი [28] ძელქვის ვანადგურების ერთ-ერთ მიზეზად ლენქორანის დაბლობებში თელის აღვილობრივი მოსახლეობის მიერ ძელქვის ხეების მოცურას საჭიროდა.

ბურთის ფორმას და სიმაღლეზე ვეღარ იშრდება (არ იძლევა საკუთრივი განერდის საშუალებას).

იმპერიალისტური
საბჭოთა კულტურის
მიმდევარი



სურ. 10. ძელქვის შეჩრდითი ტყე ვარციხეში (პაიკოესკოს რაიონი), ძულ-კარის მონარედი და ჯავახულია საქონლის ძირებით

დაწაგული და დეგრადირებული ძელქვნარებისა და ძელქვაშერეული ტყეების აღდგენი ადეილი საქმეთ თუ იქ გატარდება უმარტივესი სატყეო სამეურნეო ღონისძიებები. საქმარისია ეს ტყე მოკერათ ძირზე, დავიცვათ საქონლისაგან, გავშმინდოთ ეკალ-ბარლისაგან. შევწყვიტოთ უსისტემო ცრები რომ 40—50 წლის შემდეგ საუკეთესო ტყე მივიღოთ, რომელსაც უაღრესად დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ექნება მოსახლეობისათვის.

წინათ ძელქვა შეტ ფართობზე იყო გაფრცელებული აჯამეოს და მის შეზობელ ტყეებში: იმერეთის მუხასთან, ჰიროვანის მუხას-

რან, რცხილასთან, ჭავრუხილასთან, თელასთან და სხვა ჭიშებთან
 შერეული. ძელქვა სხვა ჭიშებზე უფრო კარგად იწმინდებოდა ტოსკანის
 ტებისაგან, იზრდებოდა სწორტანოვანი და საუკეთესო სამასალე
 შერქანს იძლეოდა, რის გამოც იქრებოდა ღილი რაოდენობით. ღლე-
 ცხათვის მცირე ფართობებზე აქა-იქ არის შერჩენილი მუხასთან,
 რცხილასთან და სხვა ჭიშებთან შერეული „1“, „2“ ან, იშვიათად,
 იეტი ერთეულის რაოდენობით*. ჩვენ იღებერეთ ერთ-ერთი, შედა-
 ღებით უკეთესად შემთხასული, გრილი ტიპის შერეული კორომი,
 რომელიც ასეთ სურათს იძლევა: შემაღვენლობა—5 მუხა (იმერეთის
 და ვართვისის). 4 ტელქვა და 1 სხვა ჭიში (რცხილა, მინდვრის ნე-
 კურჩხალი); სიხშირე—0,6—0,8, ალაგ-ალაგ მცირე ზომის ფანჯრები;
 ხნოვანება 100—120 (იუვათად ნაკლები ან მეტი) ტელი; მერქნის
 მაჩაგი ჰექტარზე 400—500 მ²; ტყის განახლება დამიქმაყოფილე-
 ბულია ფანჯრებში და ღაბალ სიხშირეებში. მუხასა და სხვა ჭიშებ-
 თან შედარებით ძელქვის მოხარუი, მეტი რაოდენობით გვხვდება
 მაგრამ ღაზიანებულია იგი საქონლის ძოვებით; კვეტუ საშეალო
 სიხშირისაა და წირმიდგენილია შემდეგი ჭიშებით: კრაზანა (ალაგ-
 ალაგ სშირი), კუნელი, ზღმარტლი, კანკუატი, ჭონჯოლი, იელი, ეკ-
 ლა. ბალახეული საფარი ცოტად თუ ბევრად თანაბრიდაა გვერც-
 ლებული და შედგება შემდეგი სახეობებისაგან: *Digitalis Schisch-
 kini Ivanina*; *Galium Vailantii DC*; *Agrostis alba L.*; *Polygonum convolvulus L.*; *Euphorbia squamosa W.*; *Veronica peduncularis MB.*; *Rumex sp.*; *Helleborus caucasicus R. Br.*; *Vinca pubescens D'Urv.*; *Melissa officinalis L.*; *Viola sr.*; *Cynanchum scandens (S. et L.) Kusn*; *Primula Sibthorpii Hoffm.*; *Prunella vulgaris L.*; *Sanicula europaea L.*; *Lampsana communis L.*; *Torilis sp.*; *Galium palustre L.*, *Serratula quinquefolia MB.*; *Silene sp.*; *Hieracium sp.*; *Carex divulsa Stok.*; *Iris sp.*; *Ruscus ponticus G.*; *Peucedanum caucasicum (MB) C. Koch.*, *Centaurea stenolepis Kern.*

აღსანიშნავია, რომ აჯამეთის ნაკრძალში ძელქვა ტყის ნაპი-
 რებზე უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე სიღრმეში. ეს გამოწვეულია
 შემდეგი გარემოებით, ტყის სიღრმეში პირველ რიგში იქრებოდა
 ძელქვა, მაგრამ ჭრის შემდეგ მისი განახლება საბურეველშივე კელა

* აჯამეთის მუხასრები და მუხას-რცხილნარ-ძელქვასრები ამჟამად გამო-
 ცხადებულია სახელმწიფო ნაკრძალად და ღაულია.

ხდებოდა, როგორც სინათლის ჭიშის და მის ადგილს იყავებდა ჩრდილის ამტანი ჭიში-რცხილა, ტყის ნაპირებზე კი, სადაც განათეურ ბა უკეთესი იყო ძელქვის განახლებაც ხდებოდა.



სურ. 11. შემნარ-ძელქვნარი აუკაუთის ნაკრძალში. დუონი-ძველი ტყე აჯამეთის ზაფხულში (Западная Грузия).

მიღების ზრდის მავლელობა გუნდის გადამდებარების დროის

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძელქვა კორომში იზრდება სწორ-ტანიგან ხედ. კარგად იშმინდება ტოტებისაგან (გაცილებით უკეთ ვიდრე მუხები) და ხასიათდება ღეროს მცირე წოწებით. შედარებით სწრაფად იზრდება იგი სიმაღლეზე 70—80 წლამდე, ხოლო შემდეგ ანელებს ზრდას. კორომის ზრდა-განვითარების კარგ პირობებში ძელქვა 100—120 წლის სიმაღლებში 30—35 მ სიმაღლეს აღწევს.

თავისუფლად გაზრდილი ძელქვა განიერ ვარჩს ინვითარებს, შედარებით სწრაფად იზრდება სისქეზე, ხოლო სიმაღლეზე—ნერა-

და ხნოვანი ხეები ზრდის კარგ პირობებშიაც კი ჩვეულებრივად 25—30 მ სიმაღლეს არ აქირჩებს. საქართველოში აქა-იქ გვხვდება დიდხნოვანი მსხვილი ზომის ხეები, რომლებიც ბუნების ძეგლად არის გამოცხადებული. ერთ-ერთი ასეთი ხე, რომელიც უდიდესია ძელქვათა შორის ამიერკავკასიაში და, შესაძლებელია მსოფლიოშიც, არის თერჯოლის რაიონში სოფ. ჩხარ-ეწერში. მისი ხნოვანება დაახლოებით 800 წელია, სიმაღლე 30 მ; განტოტვა ეწყება 2,5 მ სიმაღ-



სურ. 12. ძელქვის განახლება ტყის ნაპირზე აჯამეთის ნაკრძალში, IX, 1960.
Возобновление дзелькви у опушки леса в Аджаметском Заповеднике (Зап. Грузия).

ლეზე, განტოტვამდე ლეროს უმცირესი დიამეტრი უდრის 3,3 მ; ხე გადამერებული და ფაუტია, მაგრამ მსხმოიარობს სისტემატურად და იძლევა ალმოცურნების უნარიან თესლს.



სურ. 13. ძელეჭვა გაზრდილი საშუალო სიმაღლის ტყეში, აჯანციოს ნაკრძალი, მაიავთვების ხაითი, IX. 1960.

Дзельква, выросшая в лесу средней полноты, Аджаметский Заповедник, Зап. Грузия

ძელქვის ზრდის მსვლელობის გასაანალიზებლად ჩვენ არ გვქონდა საშუალება მოვაკეპრა ხნიერი ხეები სამოდელოდ სხვადასხვა ტიპის ტყეებში და ამიტომ ვკრიდით მხოლოდ ახალგაზრდა მოზარდს და დიდ სიხშირეებში ან ესარგებლობდით შემთხვევეითი მასალით (ძველი მოქრილი ხეებით, ჩამორჩომეული მორებით და სხვა), რის გამოც ქვემომოტანილი მასალები სრულყოფილი არ არის, მაგრამ ძელქვის ზრდის მსვლელობაზე წარმოდგენას მაინც გვაძლევს.

ცხრილი 6

ძელქვის სანიტურო ხეების ზრდა დამეტების დეროს სხვადასხვა სიმაღლეზე

სანი. სერია სანი. სერია №	ადგილმდებარეობა	მონაცემის დღე	სინალ- ტესტის რეალ- ბის რაოდენობა ამონტის განხევა	სე	დოზიტრი სე	საშუალება შემოტევა მა
1	აჯამეთის ნაკრძალი, ხშირი ტყი ვაკეზე	0,10 1,14 2,08 2,78 3,65 4,40	12 10 8 6 4 2	6,8 4,8 4,5 3,5 2,0 1,0	0,57 0,48 0,56 0,58 0,50 0,50	
2	"	0,10 1,27 3,33	16 13 6	4,6 3,4 1,3	0,29 0,26	
3	ასტ არა, ასალგაზრდა ხშირი ტყი ვაკეზე	0,10 1,00 3,00 5,00 7,00	17 15 9 5 2	7,9 5,4 3,4 1,8 0,6	0,46 0,36 0,38 0,36 0,30	
4	სტე ტანიკუტტი, ოდნავ შეუე- რებელ ადგილზე ხშირი ტყე	0,10 1,00 3,00 5,00 7,00	12 10 6 2 2	6,2 4,4 2,7 0,7	0,52 0,44 0,45 0,35	
5	სოფ. კრასნი ბაზარი (სტეუანა- კერტის რაიონი), ხშირი ტყე	0,10 1,00 2,00 3,00	8 7 6 4	4,4 3,2 1,9 1,4	0,55 0,46 0,32 0,35	
6	ლერიკის რაიონი თხელი, თო- ხნარი, ღორღოანი ნიადაგი 0,5—0,6 სიხშირის ტყე . . .	1,00	46	24,0	0,52	
7	თბილისის ბორანიკური ბაღი ჯგუფური ნარგაობა	3,35	80	38,4	0,48	
8	სოფ. ილემი, ზესტაფონის რა- იონი ი, ცალტერდგომი ზე . . .	7,40	74	30,8	0,43	
9	"	0,10	50	44,0	0,89	
10	"	1,30	52	60,0	1,15	
		1,30	52	58,0	1,12	

Digitized by



ხუთ დღ. 8:00 წლიდან ძეგლის განვითარების ღია აფეთქების რაოდინის სთაც. ჩამო-ეკიუში. ღერის დაავტომ უდრის 3,3 ა. IX. 900 800 лет, дасилька (*Z. carpinifolia*), выросшая на открытом месте в Терджольском районе Зап. Грузии, диаметр ствола-3,3 м.

ქართველის სანიტარიუმის ხელისის ზრუნავ სიმართლეში გვ. 8

სამიზნო ნომი	აღმდებარებული არეალი	სამიზნო სახელი	სამიზნო სიმძლავი	სიმაღლე ზონაების შემცვევით			მიზნის მიზნური დოკუმენტი	შენიშვნა
				5 წ.	10 წ.	15 წ.		
1	აჯამშილი, საკომალი, თოხ- ონი მიად აგი, ვაკეზე, სმი- რი ტყე	12 წ.	5,30	2,43	4,40	—	0,14	ფართობ- ულ დოკუმენტი მიზნებით
2	16 წ. 4,30	2,41	3,33	—	0,26			აგარილი აკონტა ძოვებას
3	ასტრანა, ახალგაზრდა სმი- რი ძელებებარი, ვაკეზე, თო- ხონი მიად აგი	17 წ. 7,72	2,40	4,00	7,00	0,45		
4	12 წ. 6,53	2,50	5,00	—	0,54			
5	სოფ. კოსალი ბახანი (სტე- ფანა კუთარის რ-ნი), თხელი თოხონი-გორგანი ზინადა- გი ფერ აძლევ, ათონაყარი ძელება	8 წ. 4,78	3,40	—	—	0,60		



სურ. 15. ძელკვის ბუნებრივი პატარა ჯგუფი წყალტუბის რაიონის სოფელ მაღლაქში. Группа деревьев дзельквы в Цхалтубском р-не (Зап. Грузия)

კხრილებში მოტანილი მასალებიდან გამომდინარეობს:

1. ახალგაზრდა და საშუალო ხნოვანების ძელქვა ტყეში ზრდა-განვითარების ოპტიმალურ პირობებში საშუალო წლიური შემატებას დღევა სიმაღლეზე 0.5 მ-მდე, ხოლო დიამეტრზე 0.3—0.6 სმ-ს;
2. ღია ადგილზე ძელქვა სწრაფად იზრდება დიამეტრზე და 40—60 წლის ხნოვანებაში საშუალო წლიური შემატება 0.9—1.1 სმ-ს უდრის, ხოლო მიმღინარე შემატება კიდევ მეტია;
3. ძალზე ნელი ზრდით ხასიათდება ძელქვა კარბტენიან რია-დაგზე (სანიმუშო ხე № 11).

ძელქვის ნაბეჭდი მუზალობა

ნაბეჭდი მეურნეობის დროს ხის ლეროს გადაჭრა ხდება მიწის უდაპირიდან 2—3 მ სიმაღლეზე, გადანაჭერი იძლევა მრავალ ამონიარს და შემდეგში ტარდება ამონაყარის ვრა მეურნეობის მოთხოვნილების მიხედვით. ასეთი მეურნეობა საქმიან ფართოდ იყო გავრცელებული წარსულში საქართველოში ისეთი ჯიშებისათვის, როგორიცაა: ტირიფი, თეთრი ვერხვი, მუხა, წაბლი, იფანი, ძელქვა, რცხილა, თელა და სხვა. მეურნეობიდან დებულობენ: შეშას, წნელს, სარს, ვიგოს, ბოძებს და სხვა წვრილ მაქნის მერქანს. ამ მეურნეობის უპირატესობა ის არის, რომ ამონაყარს ვერ სწერდება საქონელი და ვერ ანადგურებს, რის გამოც ნაბეჭდ ტყეში საქონლის ძოვება ყოველთვის დასაშვებია თუ მიზნად არა გვაქვს დასახული აღმოცენების მიღება. ნაბეჭდი ძელქვები პატარა ჯგუფებისა და ცალკე ხეების სახით დღესაც გვხვდება: იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში და თალიშში. საქართველოში მას იყენებდნენ უმთავრესად უნახისა და ღობეების საჩებად.

ძელქვის ნაბეჭდის ზრდა-განვითარების დასახასიათებლად ჩვენ ღომებრეთ რამდენიმე ძარი სანიმუშო ხე, მოგვყავს მათი მონაცემები:

სანიმუშო ხე (ნაბეჭდი) № 1 (სურ. 16), ვანის რაიონში, საშუალო ხილომის თიხნაროვან ნიადაგზე ცალკემდგომი ხე, ლეროს დიამეტრი მეტრის სიმაღლეზე—0.9 მ, ხნოვანება დაახლოებით—100 წ., ნაბეჭდის (გადანაჭრის) სიმაღლე—3,7 მ; ამონაყარის რაოდენობა—34 ცალი, მათგან უკელაზე წვრილის დიამეტრია 5 სმ, ყველაზე მსხვილის—13 სმ, ხნოვანება—14 წ., ამონაყარის სიმაღლე (მაქსიმალური) 8 მ, ე. ი. ამონაყარის საშუალო წლიური შემატება

უდრის სიმაღლეზე 57 სმ, ხოლო დიამეტრში — 0,5—0,9 სმ; ხე
სისტემატურად მსხმოიარობს უხვად და იძლევა კარგი ხარისხი.



სურ. 16. მელქვის ნაბეღლი განის რაიონის სოფ. ამაღლებაში.
Дзельква безвершинная (набели) в Ванском р-не, Зап. Грузия

თესლს; სიმაღლეზე ზრდა უკეთესი ექნებოდა მას, რომ ქარის ძლიერ
გაელენას არ განიცდიდეს (ვეგიტაციის პერიოდში ხშირად ჰქერის
ოლმოსავლეთის ცხელი ქარი).



სურ. 17. ნაბეჭი მტლება წყალტუბოს რაიონში
Дзельква безвершинная (набели) в Цхалтубском р-не (Зап. Грузия), IX. 1960

სანიმუშო ხე № 2 (იმავე უბანშია, საღაც № 1), ქარისაგან შედარებით დაცულია, ნაბელის სიმაღლეა 1,5 მ, დიამეტრი—8 სმ; ამონაყარის რაოდენობაა 32 ცალი, პირველი წლის ამონაყარის სიმაღლეა 105—148 სმ. იქვე გვერდით ნაბელზე მოჭრილ ამონაყარის (ხნოვანება—20 წ.) მაქსიმალური შემატება დიამეტრზე უდრიდა 1,5 სმ.

სანიმუშო ხე № 3 (სურ. 17) — წყალტუბოს რაიონში ძლიერ ქარიან, ვაკე ადგილზე; ნაბელის დიამეტრი—35 სმ, სიმაღლე—2 მ; 1 წლიანი ამონაყარის რაოდენობა—50, სიმაღლე (წლიური ნაზარეთი)—1—1,5 მ.

როგორც ვხედავთ ძელქვის ნაბელი იძლევა უხე ამონაყარს და იზრდება საკმაოდ სწრაფად როგორც სიმაღლეზე ასევე დიამეტრში.

კვლევის ჩანახლება-ზარალურია გულიანი პირობები

ბუნებრივ პირობებში ძელქვის განახლება-გავრცელება ხდება ძირქვის ამონაყარით, ფესვის ნაბარტყით და ოქსლით, ზოგჯერ იდგილი იქვე იგრძელება გადაწყვენით გამრავლებასაც. ახალგაზრდა და საშუალო ხნოვანების ძელქვა უხვად იძლევა ძირქვის ამონაყარს, რომელიც პირელ წლებში სწრაფად იზრდება და 1,5—2 მ შემატებას იძლევა სიმაღლეზე. ამიერკავკასიაში ძელქვის გამრავლება ხდება უმთავრესად ფესვის ნაბარტყით, რომელსაც დიდი რაოდენობით იძლევა ნიადაგის ზედა ფენებში (0—15 სმ სიღრმეზე) განლაგებული წერილი (0,5—1,5 სმ დიამეტრის) ფესვები⁹. ნაბარტყი ძირქველ წლებშივე ინვითარებს საკუთარ ფესვებს, რომლებიც

⁹ საინტერესო ლენიშნოთ, რომ ძელქვის მეორე სახეობა—იაპონური ცელქვა, რომელიც გარეულად გაერცელებულია იაპონიაში, ჩინეთში და სამხრეთ კორეაში, ჩინეთ—ბათუმის ბორანიკურ ბალში და წყალტუბოს ცენტრალურ პარკში (საღაც ვატარებდით დაკვირვებებს) ფესვის ნაბარტყის აზ იძლევა, სამავირი რიც დიდი რაოდენობით იძლევა ოვოონიოს, ე. ი. ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვადება კავკასიური ძელქვისაგან. ჩეკნ დაგვაინტერესა—იძლეოდა თუ არა ი. პონური ძელქვა ფესვის ნაბარტყის თავის სამშობლოში. ამ საკითხზე პასუხი ღირებულებაში ვერ მოენახეთ და ამიტომ გადგზავნეთ შეკითხვა იაპონიის სახელმწიფო სატურ-საცელ სადგურში ქ. ტრიკოში, საიდანაც შეიძლეთ პასუხს; რომ იაპონური ძელქვა იაპონიაშიც აზ იძლევა ფესვის ნაბარტყის (წერილს ხელს აშერს იანტიტურის განყოფილების ღირებულობის დარექტორი ქ. იმანეკი).




Табл. 18. Флоридский грабовник-зимнозелёный плоды Болотные (Макрофиты Флориды)
Размножение (возобновление) делянки горизонтальными отпрысками (рисунок с
литеры)

ცწრიანდ იზრდებიან სიგრძეში და დიამეტრში. ფესვები, რომლებ-
ჟაც ნაბარტყი მოგვიცეს, განაგრძობენ სიგრძეშე და სიმსხოზე ზრდას
ნაბარტყის შემდეგ, ხოლო ფესვის ის ნაწილი, რომელიც დღიუ-
შეცნარიდან ნაბარტყამდეა თითქმის სრულიად აჩერებს სიმსხოზე
ზრდას.

კავკისიური ძელქვა ფესვის ნაბარტყის მოცემის უნარს ინარ-
ჩუნებს მთელ თავის სიცოცხლეში, მაგრამ მეტი რაოდენობით იძ-
ლება მას შუახნოვანებაში. პრილიპკოს მიერ ასტარის რაოთოში
1:100 წლიანი ძელქვის ორგვლივ 25 მ² ფართობშე აღრიცხული იყო
139 ძირი ნაბარტყი 1,5—3,5 მ სიმაღლის. ჩვენ მიერ მაიაკოესკის,
ზესტაციონის და თერჯოლის რაოთოებში ხშირად იყო აღრიცხული
ძელქვის ფესვის ნაბარტყი 20—30 ძირი 1 მ²-ზე.

ასანოვამ [10], აწარმოვა დაკვირვება ძელქვის განახლებაზე
ტყის პირწმინდა მოქრის შემდეგ ასტარის, ლენქორანის და მასა-
ლიცის სატყეო მეურნეობაში. ვრები ჩატარებული იყო ძელქვნა-
რებში და მუხნარ-იფნარ-ძელქვნარებში, კუნელის ქვეტყით. ფარ-
თობი დანიშნული იყო ჩაის და ციტრუსების პლანტაციებისათვის,
მარგამ შემდეგში აგ ფართობის აოვისება სოფლის მეურნეობისა-
თვის არ მოხდა და გადაეცა იგი სატყეო მეურნეობას. მოქრის შემ-
დეგ ფართობი დაიფარა ძელქვის ხშირი, სწორლეროიანი ამონაყა-
რით, მოზარდის რაოდენობა ერთ ჰექტარზე საშუალოდ 50—60
ათას ძირამდე აღწევდა. იმავე ასანოვამ აწარმოვა დაკვირვება ტყის
განახლებაზე კორომში და ასეთი სურათი მიიღო: ძელქვნარ-მუხნარ-
იფნარებში (8 ძ, 1 მ, 1 იუ. ქვეტყე-კუნელი), ასტარის სატყეოში ძელ-
ქვის აღმონაცენისა და მოზარდის რაოდენობა ერთ ჰექტარზე აღ-
წევდა 101 ათას ძირს; 150 წლიანი ძელქვნარებში (10 ძ, ქვეტყე-კუ-
ნელი) — ტანგერუდის სატყეოში—99 ათას ძირამდე; იმავე ტიპის
შუახნოვან კორომებში ლენქორანის სატყეოში—77 ათას ძირამდე
და ა.შ., საუკეთესო განახლებას აღვილი პქონდა ტყის ღრმა, მუქ-
რუხ, თიხნარ ნიადაგებზე. დასკვნაში ასანოვა აღნიშნავს, რომ კო-
რომებში უკეთესი განახლება ხდება 0.6—0.7 სიხშირის ღროს. ამ
შეხედულებას ჩვენ ვერ ვეთანხმებით, რადგან ასეთ სიხშირეში მარ-
თალია აღმონაცენი ბევრია, მაგრამ როგორც კი მოზარდებში გადავა
იგი მკეთრად დაიწყებს შეძლებას. ჩვენი დაკვირვებით თალიშ-
ში და საქართველოს ტყეებში ძელქვის მოზარდს ნორმალურად შე-
უძლია განვითარება ტყის ფანჯრებში და მეჩხერ კორომებში.



Чр. 19. ძელქვის მოზარდი ბეჭედო კონტაში. მაიაკვეყის ჩაითხო—
აჯამეთის ბაქრძალი, IX. 1960.


Подрост дзелькви в редине. Аджаметский заповедник (Западная Грузия)



სურ. 20. (ფოტო ბ. კეცხოველის). ძელქვის მოზარდი სოფ. ბაბანეურის
ტერიტორიაზე, X. 1959
Подрост дзельквы в Бабанеури (Восточная Грузия)

ასტარის რაიონში, ტყის ფანჯრებში ჩვენ ვნახეთ ძელქვას
10—15 წლიანი მოზარდი (ლატნარი), რომლის სიმაღლე 5—7 მეტრი
უდრიდა და ერთ კვადრატულ მეტრზე 2—3 ძირი იყო. ასეთი მო-
ზარდი ტყეში საბურველის ქვეშ არსად არ შეგვხვედრია.

კარგია ძელქვნარების განახლება საქონლისაგან დაცულ აღვა-
ლებში. კახეთში, აყად. 6 კეცხოველის დაკვირვებით ალაგ-ალაგ სა-
სახრე ნორჩნარი (2—3 მ სიმაღლის) 1 მ² ფართობზე 10—15 ცალია,
ხოლო 40—60 სმ სიმაღლისა კი 30—35 ძირამდეა, ამათში ბევრია
თესლით აღმონაცენიც [5].



სურ. 21, ძელქვის რაყა რცხილის, ჯაგრუპნილის, მეტის და სხვა ჯიშ-
ბის შერევით სოფ. ამაღლებაში (ვანის ზ-ნი).


Заросли дзельвки с примесью граба, грабинника, дуба-и других пород. Сел. Амаглеба (Западная Грузия)

დასავლეთ საქართველოში, კარგად განვითარებული მოზარდი
ალაგ-ალაგ გვხვდება აჭამეთის ტყის ნაკრძალში, სადაც იგი დაცუ-
ლია საქონლის ძოვებისაგან. ჩაც შეეხება დასავლეთ საქართველოს

დეგრადირებულ ტყეებს, ძელქვის ცალკემდგომ ხეებს ან მათ პატარა
ჭრულებს აქ თითქმის ყველგან კარგი განახლება-გამრავლება გვაქვს,
უმთავრესად ფესვის ნაბარტყით, მაგრამ მოზარდი ვერ ვითარდება



სურ. 22. ძელქვის მოზარდი ლია ფართობზე აჯამეთის ნაქრძალში.
Подрост дзельквы на открытом месте в Аджаметском заповеднике
(Зап. Грузия).



სერ. 23. აჯემეთის თეითნათენი აკამეთის ნაკრძალიდან 1) — ერთწლიანი,
2) — 5 წლიანი

Самосев дзелькины из Аджаметского заповедника (1) — 1 лет., (2) —
5 летний

საქონლის გამუდმებული ძოვების შედეგად. მდინარე რიონის სანაპიროს ზოგიერთ ადგილებში, მცირე ფართობებზე შეიქმნა ძელქვის აქალგაზრდა რაყა. ერთ-ერთი ასეთი რაყა ჩვენ აღვწერეთ ვანის რაიონში სოფ. ამალებაში, სადაც ძელქვის უკავია 40—50%, მათთან ერთად იზრდება რცხილა, ფავრუხილა, იფანი, მუხა. ნეკერჩხალი, თელა და თეთრი აყალი; ქვეტყის ჯიშებიდან—კუნელი, შინდანწლა, ასკილი, და მაყვალი; მათზე გადახლართულია ეკალა და მიტომ რაყა საქონლისათვისაც ძნელი გასავლელი გახდა. ამის შედეგად ძელქვამ იწყო სიმაღლეზე ზრდა და წლიურ ნამატს 125—160 მ-მდე იძლევა. თუ ასეთ ახალგაზრდა რაყაში ჭრა იყრძალება, უახლოეს 10—15 წელიწადში უკეთ მშენები შერეული ტყე იღებება ძელქვის გაბატონებით.

საბოლოოდ უნდა იღვნიშნოთ, რომ ჩატარებულმა გამოკვლეუბმა: საქართველოში, თალიშში და მთიან ყარაბახში დაგვარწმუნა ძელქვის სრულიად დამაქმაყოფილებელ განახლება-გამრავლებაში და თუ დღეს კიდევ აქვს ადგილი ძელქვის შემცირებას, ეს გამოწვეულია ძირითადად არა ძელქვის ბიოლოგიური თვისებებით—განსი სუსტი განახლებით, არამედ—მათი დაუცველობით.

მილქვა კულტურიზაცია

ძელქვამ კულტურებში დღემდე გავრცელება ვერ პპოვა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ იგი დიდ ყინვებს ვერ იტანს და ამიტომ კულტურებისათვის მისი ხელოვნურად გაშეხების ფარგლები ზეზღუდულია. იმ ოლქებშიაც კი, სადაც ძელქვის თავისუფლად შეუძლია ზრდა-განვითარება მისი გაშენება არ წარმოებს, ეს აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ ძელქვის ბიო-ეკოლოგიური თვისებები არაა შესწავლილი. გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ძელქვა მომაკვდავი ჯიშია, იძლევა მეტად ცუდი ხარისხის თესლს, თესლით მის განახლებას ტყეში არ აქვს ადგილი, იზრდება ძილიან ნელა და სხვა. ასეთი შეხედულება სწორი არაა. ჩვენ უკვე ზემოთ ვნახეთ, რომ ძელქვა იძლევა ხარისხიან თესლს ხაյმაო რაოდენობით, განახლება ტყეში კარგია, თუ კი ის დაცულია საქონლი-საგან. რაც შეეხება ძელქვის ნელ ზრდას—ეს მართლაც ასეა განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ

ქელქვა ნელი მოზარდია, არამედ იმიტომ, რომ ზრდა-განვითარების კარგ პირობებში ძელქვა განადგურდა და შემორჩია მხოლოდ მისი ერთეული ეგზემპლარები უმთავრესად ხრიოკ ფერდობებზე, სადაც ყველა ჭიში ნელი ზრდით ხასიათდება.

ძელქვის კულტურებში ამრავლებენ თესლით, კალმებით და მყნობით. ტყის გასაშენებლად წარმატებით შეიძლება, ივრეთვე, გამოყენებულ იქნას ტყეში მოთხრილი მოზარდი, როგორც თესლით წარმოშობილი ასევე ფესვის ნაბარტყი. ჩეენ ზემოთ ენახეთ, რომ თუ თესლი შეგროვილია კორომში, სადაც ჭვარედინი დამტვერიანების ხელსაყრელი პირობები არსებობს, მაშინ იგი საკმაოდ კარგი ხარისხისაა. ძელქვის თესლი სასურველია შეგროვებისთანავე დაითვესოს შემოღომით ან შენახულ იქნას გრილ სილაში გაზაფხულზე დასათვესად. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე მცირდება თესლის ოლმოცენების უნარიანობა. ჩეენ შევმოწმეთ პაერმშრალ მდგომარეობაში შენახული ძელქვის თესლი შეგროვებიდან ნახევარი წლისა და 2 წლის შემდეგ და ომოჩნდა, რომ შემოღომაზე შეგროვილი თესლის 50%-მა გაზაფხულ-მდე დაკარგა ალმოცენების უნარი, ხოლო 2 წლის შემდეგ ალმოცენება მოგვცა თესლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა, ამასთანავე ალმონაცენი იყო მეტად სუსტი და მოვლის ჩვეულებრივ პირობებში პირველ თვეშივე დაიღუპა. ვ. ასანოვაძე [11], 25 ოქტომბერს შეგროვილი თესლი დათვესა სანერგები 25 ოქტომბერს, 5 ნოემბერს და 10 დეკემბერს (ყოველ გრძელი ძეტრზე 7 გ), მასიური ალმოცენება მიიღო შესაბამისად 10, 15 და 30 მატებს. პირველ ორ ვარიანტში ალმონაცენის რაოდნობა ერთ გრძეი მეტრზე უდრიდა საშუალოდ 150 ცალს, ხოლო მესამე ვარიანტში—80 ცალს. იმავე დროს ზრდის სისწრაფით გამოიჩინეოდნენ აღრე ნათესიდან მიღებული მცენარეები და პირველ წელს საშუალოდ 1,5-ჯერ გაუსწრეს სიმაღლეში გვიან ნათესიდან მიღებულ ნათესარებს. ანალოგიური შედეგები მოგვცა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაყენებულმა ცდებმა და დავრწმუნდით, რომ კულტურების უკეთესი წარმატებისათვის საჭიროა ძელქვის თესლი დაითვესოს შეგროვებისთანავე—ოქტომბერ-ნოემბერში.

ძელქვის კულტურების გაშენება შეიძლება ვაწარმოოთ მუდმივ ადგილზე, ბაქნებზე ჩათესეით ან სანერგებში გამოყვანილი ნერგით. ვ. ასანოვაძე [11] დაკვირვებით თალიშის პირობებში თესლით გაშენებული ძელქვა უკეთესად ეითარდება და უკეთ უძლებს ზაფხულის გვალვებს, ვიდრე ნერგით გაშენებული.

ნერგების გამოსაყვანად სანერგის მოწყობა ხდება ჩვეულებრივი წესით, ისე როგორც სხვა ჭიშებისათვის, მხოლოდ მხედვე-

ლობაში უნდა მივიღოთ, რომ გვალვიან და ცხელ ადგილებში სა-
სურველია კელების ნახევრად დაწრდილვა. ერთ გრძივ მეტრზე
7—10 გ თესლი ითვება, საიდანაც, თესლის საშუალო ხარისხის
ღრმას 150—200 კალ აღმონაცენს მივიღებთ. ახალგაზრდა აღმონა-
ცენი—3—4 კვირის ხელვანებაში საჭიროა დაიჭვულოს 10×20 სმ,
აუ ნერგის გადარგვა გათვალისწინებულია ერთი წლის შემდეგ, ან
20 \times 40 სმ თუ ნერგს ორ წლამდე ვაჩერებთ სანერგეში. თუ დიდი
ზომის ნერგი გვესავიროება, მაგალითად ქუჩების გასამწვანებლად,
პაშინ საჭიროა 1—2 წლიანი ნერგი დასკოლდეს და 4—5 წლის გან-
ზავლობაში საუკეთესო სტანდარტულ ნერგს მივიღებთ.

როგორც აღნიშნეთ ძელქვის გამრავლება შეიძლება კალმები-
თაც. კალმები მზადდება აღრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამ-
დე 1—2 წლიანი ყლორტების და წერილი 0.5—1.0 სმ ფესვებისა-
გან. დაკალმება ხდება სილნარ ნიადაგში და მოითხოვს სისტემატურ
ძორწყვის. ღია ვრუნტის შემთხვევაში კვლები საჭიროა დაცულ
იქნას ქარისიაგან და მზის მცუნვარებისაგან. ბათუმის ბოტანიკური
ბაღის პირობებში ღია გრუნტში ფესვის კალმებმა უკეთესი დაფეს-
ვიანება მოგვია, ვიდრე ყლორტის კალმებმა, მაგრამ ფესვის კალ-
მების დამზადება იმდენად ძნელია რომ მას მასიური გამრავლების
შემთხვევაში არ მიმართავენ. რაც შეეხება ყლორტის კალმებს ეს
ადგილი დასამზადებელია, მაგრამ დაფესვიანების მცირე პროცენ-
ტის გამო არც მას მიმართავენ მასიური გამრავლების ღროს. ძელქ-
ვის ერთეული ეგზემპლარების გამრავლებისათვის ატარებენ აგრე-
სე მყნობას თელაზე. ნამყენი პირველი წლიდანვე სწრაფად იზრ-
დება და მაღვ აღწევს სასურველ შედეგს. ამის ნაკლი ისაა, რომ
ნამყენი ნერგის გამოყენა საემაოდ შრომატევადია და ბევრ ხარჯს
მოითხოვს. ამასთანავე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნამყენი ძელქვა,
ისევე როგორც ამონაყარი, შედარებით მაღვ შევა სიბერეში. ყოვე-
ლივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ძელქვის გამრავლების ძირი-
თად მეოთხდად თესლით გამრავლება უნდა მივიჩნიოთ.

სანამ ძელქვის კულტურის ტიპებს შევეხებოდეთ განვიხილავთ
მის ზრდა-განვითარებას კულტურის პირობებში სხვადასხვა გეოგ-
რაციულ პუნქტებში იმ მცირე მასალების მიხედვით, რომელთა
შეგროვებაც შევძელით პირადი დაკვირვებით ან ლიტერატურული
წყაროებით.

ევროპაში ძელქვა კულტურაში ცნობილია 1760 წლიდან. ინ-
გლისში, კიუში და საიონში ძელქვის პირველი ეგზემპლარები დარ-
ჩული იყო 1760 წელს (Kew and Syon), რომელთაგან ერთ-ერთმა

ეგზემპლარში 1910 წლისათვის მიაღწია 30 მ სიმაღლეს [37]. საფრანგეთში ძელქვა ინტროდუცირებულია 1780 წლიდან, მაგრამ ფართო გაფრცელება ვერ მიიღო, რადგან (ნიხოლსონის ცნობით) მისი გამოვლება ხდებოდა მხოლოდ მყნობით. იმავე ფრანგის ცნობით [38], ძელქვის კარგი ეგზემპლარები არის ეერსალში ტრიანონის პარიზი. ცვანასკნელ ხანს კავკასიური ძელქვა ინტროდუცირებული იყო ბუქარესტის ბოტანიკურ ბაღში, ამჟამად იქ იზრდება ერთი მოზრდილი და რამდენიმე ინალგაზრდა ეგზემპლარი. მოზრდილი ეგზემპლარის ხნოვანება დაახლოებით 20 წელია, სიმაღლე უდრის 8.35 მ, ხოლო დიამეტრი—9.68 სმ-ს, მსხმოიარობს ყოველწლიურად¹⁰.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძელქვა ინტროდუცირებულია ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში და ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატებში. მაგრამ ჩვენ არ გვვიჩნია ცნობები მისი ზრდა-განვითარების შესახებ და ამიტომ აქ არ მოგვყავს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძელქვის ინტროდუქციას პირველად ნიკიტის ბოტანიკურში ბაღმა მოპეიდა ხელი. 1841 წ., ძებალე ვიტმანშა ძელქვის თესლი შეიტანა იმერეთიდან ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში და გამოიყვანა ნერგები, რომელიც შემდეგ გადაირგვ ბაღის ტერიტორიაზე. უფრო გვიან — 1847 წ. ძებალე ფერმორეგმა, ხოლო 1850 და 51 წლებში მებალე ნაგორნიმ განმეორებით შეიტანეს ბაღში საქართველოში შეგროვილი თესლი და ათასობით ნერგი აღზარდეს, რომელთაგან ნაწილი გაცვლითი წესით გაეგზავნა ინგლისელ, პამბურგელ, ბელგიელ და სხვა მებალებს [19]. ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში 1847 წელს დარგული ძელქვის ეგზემპლარები დღესაც ცოცხალია, ისინი გამრავლდნენ ფესვის ნაბარტყით და დღეისათვის იქ ძელქვის საქმიოდ დიდი ჭავიებია შექმნილი, მოვიყვანთ ზოგიერთ ტაქსაციურ მონაცემებს მათზე:

სან. ხე №1—12 ლერიიანი ხე, ხნოვანება 123 წ. მაქსიმალური სიმაღლე—21.5 მ, დიამეტრი სანტიმეტრებში მეტრის სიმაღლეზე: 39×45, 27×30, 20×38, 32×32, 35×39, 22×23, 33×41, 26×26, 18×16, 34×36, 26×28, 29×44.

სან. ხე № 2—ხნოვანება არაა ცნობილი, წარმოშობილია № 1 სანიმუშო ხის ფესვის ნაბარტყით, სიმაღლეა 17.5 მ, დიამეტრი—64×80 სმ.

¹⁰ ეს ცნობები ჩვენი თხოვნით, წერილობით მოგვაწოდა შექარესტის პოტენციალის გარეშემოსავათ, რამდენიმე პროც. ტარნავშიმ.

- სან. № 3—ხნოვანება არა ცნობილი, მაგრამ ახალგაზრდად
წინა ხეებზე, სიმაღლეა 19 მ, დიამეტრი—41,5 სმ.
- სან. № 4—ფესვის ნაბარტყი, ხნოვანებაა 35 წ., სიმაღლე—
8 მ, დიამეტრი 13 სმ.
- სან. № 5—ფესვის ნაბარტყი, ხნოვანებაა 50 წ., სიმაღლე—
10,5 მ, დიამეტრი 18,5 სმ¹¹-ია.

ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში ძელქვა მსხმოარობს სისტემატუ-
რად და 5—6% სრულგულიან თესლს იძლევა, ბალის პირობებში
იგი იძლენად კარგად ვითარდება, რომ რეკომენდაციის უკეთებენ
მას სამხრეთ ყირიმში სატყეო მეურნეობაში დასანერგვად.

კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღში დარ-
გული იყო ძელქვა 30 წლის წინათ, შემდეგში იგი მოუჭრიათ თუ
გამხმარი მიწის ზედა ნაწილი ცნობილი არაა, დღეისათვის არსებობს
ძირქვის ამონაგარი, რომლის სიმაღლე 5 მეტრს უდრის. იქვე არის
ძელქვის 2 წლიანი მცენარეები (ნერგები), რომლებიც კარგად
გრძნობენ თავს. ძელქვა ინტროდუცირებულია აგრეთვე უკრაინის
შეცნიერებათა აკადემიის კიევის ბოტანიკურ ბაღში. ნერგები ადგი-
ლობრივ სანერგეში გამოყვანილ იქნა ლენქორანიდან შემოტანილი
თესლიდან, 1953 წელს სანერგიდან გადაირგო 2 წლიანი 12 ცალი
ნერგი, რომელიც 2 წლის შემდეგ კიდევ გადაირგო ადგილიდან ად-
გილზე (რაც გამოიწვევდა მცენარეთა ზრდის შენელებას); 1956
წელს აღნიშნული მცენარეები, გარდა ერთი ეგზემპლარისა, მოიჭ-
რა ძირზე (ამ დროისათვის მათი სიმაღლე 190 სმ, ხოლო დიამეტრი
ფესვის ყელთან 4,5 სმ იყო). 1960 წლის გაზაფხულისათვის საცდელ
მცენარეთა სიმაღლე, ძირზე მოერიდან 3 წლის შემდეგ, უდრიდა
128—203 სმ; წლიური შემატება სიმიღლეზე უდრიდა 1958 წელს
39—97 სმ, 1959 წ. —24—49 სმ. ერთი ეგზემპლარი, რომელიც
ძირზე არ გადაჭრილა უფრო ნელა იზრდებოდა და 9 წლის ხნოვა-
ნებაში მისი სიმაღლე (1960 წლის გაზაფხულისათვის) 170 სმ, ხოლო
დიამეტრი ფესვის ყელთან 6,5 სმ უდრიდა. ძელქვის ნარგაობა გა-
შენებულია ბაღში დნეპრის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე და განიც-
ირის ცივი ქარების მოქმედებას. 1960 წლის მარტში, როდესაც შევა-
მოწმეთ აღნიშნული ნარგაობა, უკანასკნელი წლის ყლორტების უმ-
რავლესობას წვეროები წაყინული ჰქონდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ
ყინვებით ძელქვის მცირეოდენ დაზიანებას კიევის პირობებში ხში-

¹¹ სანიმუშო ხეები № 1, 2, 3—ვაზომილია ბათუმის ბოტანიკური ბაღის
შეცნიერ მუშავ გ. ტატიშვილის მიერ 1960 წ. სანიმუშო ხეების № 4 და 5-ს მო-
ნაცემები აღმატულია ნიკიტის ბოტანიკური ბაღის შრომებიდან [19].

რაღ ექნება ილგილი, დაუზიანებლად გადაშამთრება მას შეუძლია
მხოლოდ ცივი ქარისაგან დაცულ ადგილებში.

ა. ლიპა [27] აღნიშნავს, რომ კიევის პირობებში ძელქვა იზრ-
დება პატარა ბუჩქის სახით და უკი ზამთარში ხდება მისი მოყინვა.
ეს შეხელულება არაა მართებული, კიევის უნივერსიტეტის და აკა-
დემიის ბოტანიკურ ბაღებში არსებულ ძელქვებზე დაკვირვებით
დავრწმუნდით, რომ კიევში ცივი ქარებისაგან დაცულ ადგილებში
ძელქვა გაიზრდება არა პატარა ბუჩქის სახით, არამედ მცირე ზო-
შის ხელ.

ძელქვის რამდენიმე ეგზემპლარი არის ღნეპროპეტროვსკის
ბოტანიკურ ბაღშიც, მათგან ყველაზე წნიერი 22 წლისაა, მისი სი-
მაღლე 4 მ უდრის, ხოლო დიამეტრი გულის სიმაღლეზე — 5,5 და
6,0 სმ (ორლეროიანია). დანარჩენი ეგზემპლარები ბუჩქის ფორმის
არიან და ნელი ზრდით ხასიათდებიან, მსხმოიარობა კერ-ჭერობით
არ არის შემჩნეული¹².

გასული საუკუნის ბოლოს, მარიუპოლის სატყეო საცდელი სად-
გურის მიერ გაშენებული იყო კავკასიური ძელქვა მცირე ფართობ-
ზე წმინდა კულტურის სახით და შეჩეულად ჩვეულებრივ იფანთან;
იიადგი წარმოადგენდა 90 სმ სიღრმის ჩვეულებრივ შავმიწებს,
ურუნტის წყლები იმყოფებოდა 15 მ სიღრმეზე. 1939 წელს აღნიშ-
ნული ნარგობა შეისწავლა ი. ფ. გრიცენოვი [13] და მისი ზრდა
შეადარა ცაცხეს, მსხვილფოთლიან ნეკერჩხალსა და იმერიკულ იფ-
ას; აღმოჩნდა, რომ ძელქვა ყველა დასახელებულ ჯიშებზე უფრო
ხელა იზრდებოდა და საშუალო სიმაღლე, დახლოებით 40 წლის
ხნივანებაში უდრიდა 7,6 მ, იმ დროს როდესაც სხვა ჯიშების
სიმაღლე იმავე ხნივანებაში 12—13 მ იყო. ი. გრიცენოვი იმოწმებს
უდილობრივ მომუშავე კრაინეცს და აღნიშნავს, რომ ძელქვები
30 წლის ხნივანებაში მსხმოიარობდნენ და კრცელდებოდნენ მეზო-
ჟელ ფართობებზე, თვითნათესით, ფესვის ნაბარტყით და გადაწვე-
ნით. ამ ცნობებიდან არაა დამაჯერებელი ის, რომ ძელქვა კრცელ-
დებოდა თვითნათესით, რადგან მას ზრდა-განვითარებისათვის მძი-
მე პირობებში (კელქის ზონაში) არ შეეძლო თესლით თვითნათე-
დება. ყოველშემთხვევაში ის ფაქტი, რომ რამოდენიმე თესლი
